

შეწყალების უფლებამოსილება



ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება



2016

შეწყობების უფლებამოსილება

ქართული მოდელი

და

საერთაშორისო გამოცდილება



თბილისი, 2016

კვლევა მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ავტორები: თამარ ავალიანი, გიორგი ჩიტიძე

რედაქტორი: ალექო ცქიტიშვილი

თარგმანი: ნინო ტლაშაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხელისუფლება კი პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე.

მისამართი:

0160 თბილისი , მ. ქანთარას ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48

ფაქსი: (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hridc@hridc.org

ვებ-პორტალი: <http://www.humanrights.ge> ; <http://www.hridc.org> .



კვლევა მომზადდა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი პუბლიკაციის შინაარსზე.

სარჩევი

შეწყალების უფლებამოსილების კვლევის საჭიროება	4
კვლევის სტრუქტურა.....	5
შესავალი.....	6
შეწყალების უფლებამოსილების კვლევის მეთოდოლოგია.....	7
ქვეყნების შერჩევის წესი	8
1. შეწყალების ცნება, მისი წარმოშობა და ისტორიული განვითარება	9
2. შეწყალების უფლებამოსილების მიზნები (აშშ-ის მოდელის მიხედვით).....	10
3. პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის ბრძანებულების დადებითი სიახლეები	12
4. საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების მიზნები - დაურეგულირებელი საკითხი ქართულ რეალობაში	13
5. შეწყალების უფლებამოსილების სამართლებრივი რეგლამენტაცია და მისი გავლენა სისხლის სამართლის პოლიტიკაზე (ქართული მოდელის მიხედვით).....	14
6. შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების ტენდენცია სხვადასხვა დანაშაულებთან დაკავშირებით და საქართველოს პრეზიდენტის ლიბერალური მიდგომა ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებულთა მიმართ	16
7. შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების ტენდენციები 2004-2015 წლებში.....	17
8. შეწყალების უფლებამოსილების გამოყენება უვადო მსჯავრდებულების მიმართ	20
9. შეწყალების უფლებამოსილების მიმოხილვა სამართლებრივი სისტემების მიხედვით	21
10. შეწყალების უფლებამოსილების მიმოხილვა სახელმწიფო მმართველობის მოდელების მიხედვით.....	22
11. შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა მოდელების მიხედვით	23
12. შეწყალების უფლებამოსილების შედარებითი ანალიზი და საერთაშორისო პრაქტიკა.....	27
13. შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ქართული მოდელის მიხედვით და მასთან დაკავშირებული ხარვეზები	34
14. რეკომენდაციები შეწყალების უფლებამოსილების გაუმჯობესების ხელშესაწყობად.....	51
15. დასკვნა	53

შეწყალების უფლებამოსილების კვლევის საჭიროება

ადამიანის უფლებათა ცენტრს შეწყალების საქმეებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება დაუგროვდა. ორგანიზაციის პრაქტიკაში გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, რომელთა იდენტიფიცირება და შემდგომ ეტაპზე - აღმოფხვრა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შეწყალების მექანიზმის არსებულ მოდელს.

კერძოდ, მსჯავრდებულთათვის და ზოგადად, საზოგადოებისთვის საინტერესოა და ზოგჯერ, ბუნდოვანია ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- შეწყალების საკითხთა კომისიისა და პრეზიდენტის განსხვავებული პოზიციები, როდესაც შეწყალების კომისია მსჯავრდებულის შეწყალების თაობაზე ერთხმად გაცემს დადებით დასკვნას, მაგრამ პრეზიდენტი უარს აცხადებს შეწყალებაზე. რიგ შემთხვევებში კი პირიქით - კომისია ერთხმად იღებს უარყოფით გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის შეწყალებასთან დაკავშირებით, მაგრამ პრეზიდენტი მაინც იწყებს მსჯავრდებულს.
- საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულთა შეწყალება კრიტერიუმების დაუცველად, პირდაპირი წესით, შეწყალების კომისიის გვერდის ავლით ან ე. წ. განსაკუთრებული გარემოების საფუძველზე, რაზეც მას რეკომენდაციას აწვდის შეწყალების კომისიაც. თუკი შეწყალების საკითხთა კომისია არსებობს, როგორც პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, გაუგებარია, რატომ უვლის მას გვერდს პრეზიდენტი ზოგიერთი მსჯავრდებულის შეწყალებისას. მსჯავრდებულთათვის, ასევე, უცნობია, რა განეკუთვნება განსაკუთრებულ გარემოებებს, რითაც პრეზიდენტი და შეწყალების კომისია ხელმძღვანელობს.
- თანასწორობის პრინციპის დაცვა შეწყალების პროცესში და საქართველოს საპატრიარქოს ზეგავლენა და როლი ამ კუთხით. წლების განმავლობაში, საქართველოს საპატრიარქოდან შესაწყალებელ მსჯავრდებულთა სიები შეწყალების კომისიის გვერდის ავლით პირდაპირ პრეზიდენტთან იგზავნებოდა, რა დროსაც დამკვიდრდა პრაქტიკა, რომ საქართველოს საპატრიარქო შეწყალების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილეა. შეწყალების კომისიის წევრია მართლმადიდებელი სასულიერო პირი, მაშინ როდესაც სხვა კონფეციების წარმომადგენლები კომისიაში არ არიან შეყვანილნი. ამ კუთხით, შესაძლოა, ირღვეოდეს თანასწორობის პრინციპი იმ პირთა მიმართ, რომლებიც არიან სხვა რელიგიის მიმდევრები.
- სახალხო დამცველის როლი შეწყალების პროცესში. „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველი უფლებამოსილია, წერილობით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, თუ მიიჩნევს, რომ სახალხო დამცველის განკარგულებაში რეაგირების საშუალებები არასაკმარისია. 2013-15 წლებში საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნული უფლებამოსილება სულ ორჯერ გამოიყენა, როდესაც მან შეწყალების კომისიას, პრეზიდენტს კონკრეტული პირების შეწყალების თხოვნით მიმართა. სახალხო დამცველის ყოველწიურ საპარლამენტო ანგარიშებში ხშირად არის წარმოდგენილი სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის შესწავლის შესახებ ინფორმაცია. მრავალ შემთხვევაში ხდება მნიშვნელოვანი საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი დარღვევების იდენტიფიცირება. ამ უფლებადარღვევების აღმოფხვრის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს შეწყალების გამოყენება. სწორედ ამ კუთხით არის საინტერესო სახალხო დამცველის როლის გაანალიზება და შესწავლა. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს სახალხო დამცველის ერთობლივი თანამშრომლობის გზით, შესაძლებელი გახდება მართლმსაჯულების შესაძლო ხარვეზების აღმოფხვრა.

ამ და სხვა მნიშვნელოვანი სადისკუსიო საკითხების იდენტიფიცირებისა და გაანალიზების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა კვლევა, რომლის მიზანია შეწყალების მექანიზმის გამჭვირვალე და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საქართველოში.

კვლევის ფარგლებში განხორციელდა უცხო ქვეყნებში მოქმედი შეწყალების მექანიზმის შედარება ქართულ მოდელთან. ამ მხრივ, გაანალიზდა შეწყალების პრაქტიკა და საკანონმდებლო რეგულაციები ათზე მეტ ქვეყანაში.

საბოლოო ჯამში, კვლევამ აჩვენა, რომ ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია შეწყალების უფლებამოსილებას ექსკლუზიურად ანიჭებს სახელმწიფოს მეთაურს - პრეზიდენტს, დადებითად უნდა ჩაითვალოს შეწყალების ინსტიტუტის ისეთი მოდელის არსებობა, როდესაც პრეზიდენტი ქმნის სათათბირო ორგანოს - შეწყალების საკითხთა კომისიას, რომელიც მას აწვდის რეკომენდაციას მსჯავრდებულთათვის შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე. აღნიშნული მოდელი საკმაოდ დემოკრატიულია, მაგრამ რიგი საკითხები საჭიროებს გაუმჯობესებას, რათა მსჯავრდებულებს და საზოგადოებას არ დარჩეს ბუნდოვანებისა და არაობიექტურობის განცდა პრეზიდენტის მიერ შეწყალების აქტის გამოცემისას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კვლევის ფინალში მოწოდებული რეკომენდაციები.

კვლევის სტრუქტურა

წინამდებარე კვლევა ორგანიზებულია შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

შესავალ ნაწილში განხილულია შეწყალების კვლევის საჭიროება, შეწყალების არსი შეწყალების კვლევის მეთოდოლოგია და ქვეყნების შერჩევის წესი.

პირველი თავი ეთმობა შეწყალების ცნების, მისი წარმოშობისა და ისტორიული განვითარების განხილვას. **მეორე თავში** საუბარია შეწყალების მექანიზმის მიზნებზე, განხილულია აშშ-ს მოდელი. **მესამე თავში** საუბარია საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის ბრძანებულების დადებით სიახლეებზე. **მეოთხე თავი** მოიცავს საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების მიზნებს. **მეხუთე თავი** ეთმობა შეწყალების მექანიზმის სამართლებრივ რეგლამენტაციას და მის გავლენას სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. აღნიშნულ თავში გაანალიზებულია შეწყალების ქართული მოდელი. **მეექვსე თავი** შეეხება შეწყალების მექანიზმის გამოყენების ტენდენციას სხვადასხვა დანაშაულებთან დაკავშირებით და საქართველოს პრეზიდენტის ლიბერალურ მიდგომას ნარკოდანაშაულისათვის მსჯავრდებულთა მიმართ. **მეშვიდე თავში** გაანალიზებულია საქართველოში შეწყალების მექანიზმის გამოყენების ტენდენციები 2004-2015 წლებში. **მერვე თავი** ეთმობა შეწყალების მექანიზმის გამოყენების საკითხებს უვადო მსჯავრდებულთა მიმართ. **მეცხრე თავში** მიმოხილულია შეწყალების მექანიზმი სამართლებრივი სისტემების მიხედვით. **მეათე თავში** შეწყალების მექანიზმი გაანალიზებულია სახელმწიფო მმართველობის მოდელის მიხედვით. **მეთერთმეტე თავი** მოიცავს შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხებს სხვადასხვა მოდელის მიხედვით. **მეთორმეტე თავი** ეთმობა შეწყალების მექანიზმის შედარებით ანალიზს და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვას. **მეცამეტე თავში** საუბარია შეწყალების მექანიზმის ქართული მოდელის ხარვეზებზე. **მეთოთხმეტე თავი** შეიცავს რეკომენდაციებს შეწყალების მექანიზმის გაუმჯობესების ხელშეწყობასთან დაკავშირებით. **მეთხუთმეტე თავში** დასკვნის სახით შეჯამებულია კვლევის შედეგები.

შესავალი

სისხლის სამართლის საქმეებზე შეწყალების შესაძლებლობას მსოფლიოში არსებული სამართლებრივი სისტემების აბსოლუტური უმრავლესობა ითვალისწინებს. შეწყალება, თავისი არსით, არის ჰუმანური აქტი და როგორც წესი, გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა ამა თუ იმ პირის მიმართ ხისტი და მოუქნელი კანონმდებლობის გამოყენება იწვევს უსამართლობის განცდას. შეწყალება, როგორც კონცეფცია, არ არის მხოლოდ სამართლებრივი ბუნების და იგი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა რელიგიურ ტრადიციებში. გარდა ამისა, აღნიშნულ მექანიზმს ითვალისწინებს ბევრი არადასავლური სამართლებრივი ტრადიციის მქონე ქვეყანა თუ საზოგადოება. მაგალითად, იგი დღემდე აქტიურად გამოიყენება ისლამურ სამართალში და ასევე ახასიათებდა ბევრ პრე-კოლონიალისტურ საზოგადოებას (Novak 2016).

თუმცა, შეწყალების თანამედროვე ცნების ქვეშ მოიაზრება აქტი ან/და ქმედება, რომელიც ითვალისწინებს¹:

- *სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლებას;*
- *სასჯელის გადავადებას ან შეჩერებას;*
- *კონკრეტული სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლას;*
- *ნასამართლობის და მისი თანმდევი შეზღუდვებისგან სრულად გათავისუფლებას.*

ნიშანდობლივია, რომ შეწყალება არის მექანიზმი, რითაც აღჭურვილია აღმასრულებელი ხელისუფლება. ამნისტიისგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია კონტინენტური სამართლის ქვეყნებისთვის და ხორციელდება საკანონმდებლო ორგანოს მეშვეობით, შეწყალება აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა. იგი გამოიყენება ერთპიროვნულად ხელისუფლის (სუვერენის, მონარქის, პრეზიდენტის) ან კოლეგიური ორგანოს მიერ, რომელიც ექვემდებარება აღმასრულებელ ხელისუფლებას. ამასთანავე, შეწყალება ხორციელდება კონკრეტული ინდივიდის მიმართ და ამ მექანიზმის გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია, როგორც თავად სამართალდამრღვევი, ასევე ქმედება (სამართალდარღვევა), რომელიც მან ჩაიდინა. ამნისტია კი, როგორც წესი, შეეხება პირთა ფართო წრეს და არეგულირებს კონკრეტული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხებს (Novak 2016).

წინამდებარე კვლევაში გაანალიზებულია შეწყალების მექანიზმის ქართული მოდელი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები; პრეზიდენტის შეწყალების ექსკლუზიური კომპეტენციის არსი; პრეზიდენტის ურთიერთობა შეწყალების კომისიასთან და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი; შეწყალების კომისიის დაკომპლექტების წესი და ინტერესთა კონფლიქტი; სახალხო დამცველის როლი შეწყალების პროცედურაში და საპატრიარქოს გავლენა შეწყალების პროცესზე.

ამასთანავე, კვლევა მოიცავს შეწყალების მექანიზმის ცნებას, მის წარმოშობასა და ისტორიულ განვითარებას; შეწყალების მექანიზმის სხვადასხვა მოდელს, როგორც სამართლებრივი სისტემების, ასევე მმართველობის მოდელის მიხედვით; შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს; შეწყალების მექანიზმის გამოყენება კვლევისათვის

¹ წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის, ტერმინი „შეწყალება“ გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ შინაარსით, რაც გულისხმობს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლებას ან/და ნასამართლობის და მისი თანმდევი შეზღუდვების მოხსნას (pardon power), სასჯელის გადავადებას ან შეჩერებას (reprieve), კონკრეტული სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლას (commutation of sentence).

წინასწარ შერჩეულ 8 ევროპულ ქვეყანაში, ასევე - აშშ-ში². საილუსტრაციოდ, ასევე, მოხმობილია სხვა ქვეყნების მაგალითებიც³.

შეწყალების ქართული მოდელის გასაუმჯობესებლად, კვლევაში შემოთავაზებულია რეკომენდაციები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში შეწყალების მექანიზმის დახვეწას.

შეწყალების უფლებამოსილების კვლევის მეთოდოლოგია

- აღწერილობითი მეთოდის გამოყენებით, გაანალიზდა სამართლებრივი აქტები, რითაც შეგროვდა ინფორმაცია შეწყალების მექანიზმის სამართლებრივი რეგულირების შესახებ (საქართველოს კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო აქტები);
- შეწყალების კომისიის წევრებთან ინტერვიუს გზით, მოპოვებულია ინფორმაცია საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით კომისიის მუშაობის პრაქტიკის შესახებ;
- სახალხო დამცველთან ინტერვიუს მეშვეობით მიღებულია ინფორმაცია შეწყალების პროცესში ომბუდსმენის დამატებითი ჩართულობის თაობაზე (მის მიერ საგამონაკლისო უფლებამოსილების გამოყენების შესახებ, „სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის“ 21-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი);
- არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან (ძირითადად - სისხლის სამართლის ადვოკატებთან) შეხვედრამ შესაძლებელი გახადა დამატებითი ინფორმაციის მიღება საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით;
- შეწყალების კომისიიდან და პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით, მიღებულია დამატებითი ინფორმაცია საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით;
- შეწყალების კომისიის თავმჯდომარესთან და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მის მრჩეველებთან შეხვედრამ შესაძლებელი გახადა შეწყალების მექანიზმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით რელევანტური ინფორმაციის მიღება;
- საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელთან შეხვედრამ შესაძლებელი გახადა ინფორმაციის მიღება საპატრიარქოს და შეწყალების კომისიის ურთიერთობასთან დაკავშირებით.

კვლევისას გამოყენებულია აღწერილობით მეთოდოლოგია, კონკრეტულად კი - შინაარსის კონვენციური თვისებრივი ანალიზის მეთოდი. აღნიშნული მეთოდოლოგია გამოიყენება წერილობით დოკუმენტებში (მათ შორის - სამართლებრივ აქტებში) მოცემული ინფორმაციის გასაანალიზებლად (Neuman 2013). კერძოდ, კვლევის ფარგლებში მოპოვებული მასალა გაანალიზდა იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება კვლევისთვის შერჩეულ ქვეყნებში უფლებამოსილი პირის მიერ შეწყალების კომპეტენციის გამოყენება, რა სამართლებრივი პროცედურები არსებობს და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება მსჯავრდებულის შეწყალება.

² აშშ, ავსტრია, ბულგარეთი, ირლანდია, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ხორვატია, ჩეხეთი.

³ სინგაპური, ახალი ზელანდია, ინდოეთი, განა, ბუტანი და სხვა.

ასევე, კვლევის ფარგლებში განხორციელდა უცხო ქვეყნებში მოქმედი შეწყალების მექანიზმის ქართულ მოდელთან შედარება სწორედ საკანონმდებლო რეგულაციების კუთხით და ქართული მოდელის ნაკლოვანებებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება.

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, de lege ferenda მეთოდოლოგიის გამოყენებით ჩამოყალიბდა როგორც რეკომენდაციები ხარვეზების მომავალში აღმოსაფხვრელად (საკანონმდებლო დონეზე), ასევე უცხო ქვეყნების კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის გათვალისწინებით, მოქმედ რეგულაციებში შესაბამისი ცვლილებების კონცეფციის დონეზე შეთავაზება.

ქვეყნების შერჩევის წესი

კვლევა, ძირითადად, ეხება აშშ-ის, პოლონეთის, ჩეხეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ხორვატიის, ირლანდიის, ავსტრიისა და უნგრეთის შეწყალების მექანიზმის მოდელებს. აღნიშნული ქვეყნები შეირჩა იმ პრინციპით, რომ საქართველოს მსგავსად, პოლონეთი, ჩეხეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ხორვატია და უნგრეთი ახალი დემოკრატიის ქვეყნებია, რომლებიც უახლოეს წარსულში ე.წ. სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებს მიეკუთვნებოდნენ და საქართველოს მსგავსი ისტორიული გამოცდილება და სამართლებრივი ტრადიციები აქვთ. შესაბამისად, მათი შესწავლა რელევანტურია, რათა გამოიკვეთოს ის პრობლემები და ხარვეზები, რაც ამ ქვეყნებს ჰქონდათ და წარმატებით დაძლიეს.

რაც შეეხება ირლანდიასა და ავსტრიას, ასევე - აშშ-ს, მათი შესწავლა კვლევისთვის მნიშვნელოვანია, რადგან შეწყალების მექანიზმი ამ ქვეყნებში ათწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა და დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთ გამართულ მოდელს წარმოადგენს.

ქვეყნების შერჩევის გარდა, კვლევაში მთავარი აქცენტი გაკეთდა შემდეგ საკითხებზე:

- შეწყალების მექანიზმის კონსტიტუციური რეგულირება;
- შეწყალების მექანიზმის საკანონმდებლო რეგლამენტაცია;
- შეწყალების კომისიის (ან შესაბამისი სტრუქტურის) დაკომპლექტების წესი, წევრთა შერჩევის კრიტერიუმები და ინტერესთა კონფლიქტის საკითხი;
- შეწყალების საქმეების შერჩევის წესი, განხილვის პრეცედურა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

საკვლევი მასალა

- შერჩეული ქვეყნების რელევანტური კანონმდებლობა.
- სამეცნიერო ლიტერატურა (წიგნები, სტატიები, მონოგრაფიები).

1. შეწყალების ცნება, მისი წარმოშობა და ისტორიული განვითარება

შეწყალების უფლებამოსილების, როგორც სამართლებრივი კონცეფციის, არსისა და დანიშნულების უკეთ გასააზრებლად, აუცილებელია მისი ისტორიული წარმოშობისა და განვითარების მოკლე მიმოხილვა.

შეწყალების უფლებამოსილება არსებობდა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომის იმპერიაში. ძველ ათენში შეწყალების ინსტიტუტი არ ფუნქციონირებდა თანამედროვე გაგებით, რაც მეტწილად ათენში მოქმედი მმართველობის მოდელით (პირდაპირი დემოკრატიით) იყო განპირობებული. 403 წლამდე (ჩვ.წ.ად-მდე.) მოქმედი წესის, ე.წ. *Adeia*-ს მიხედვით, პირი შეიძლება შეწყალებულიყო, თუ მის შეწყალებას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერდა 6000 ათენელი მოქალაქე. აღნიშნული რაოდენობის მხარდამჭერთა მოგროვება დიდ სირთულეს წარმოადგენდა. შესაბამისად, შეწყალების პრივილიგიით, ძირითადად, სარგებლობდნენ ათლეტები, ორატორები და ძალაუფლების თუ გავლენების მქონე სხვა პირები. აქედან გამომდინარე, შეწყალების მექანიზმი არ იყო აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივა და მას ახორციელებდნენ უშუალოდ მოქალაქეები, საერთო სახალხო გადაწყვეტილების მიღებით (NIDA 1999).

შეწყალების მექანიზმი, ასევე, არსებობდა რომის იმპერიაშიც. თუმცა, მოცემულ შემთხვევაშიც, შეწყალების მიზანი არ იყო ვინმესთვის მიტევა და ჰუმანური აქტის განხორციელება, არამედ იგი გამოიყენებოდა პოლიტიკური მიზნებისთვის და მასების გასაკონტროლებლად. კერძოდ, რომაელები სამართალდამრღვევ ჯარისკაცებს სჯიდნენ შერჩევითად (და არა მთლიანად ჯარს). მოცემულ შემთხვევაში, შეწყალების დანიშნულება იყო ჯარში დისციპლინის დამყარება და მმართველისადმი შიშის დანერგვა. თუმცა, ძველრომაული და ბერძნული მოდელების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა და განვითარდა შეწყალების მექანიზმის ბრიტანული მოდელი, რომელიც თავის მხრივ, თანამედროვე შეწყალების კონცეფციის განვითარების ძირითად საფუძვლად მიიჩნევა (NIDA 1999).

უილიამ ბლექსტონის განმარტებით, ბრიტანული შეწყალების მექანიზმის ისტორიული ფესვები სწორედ რომაულ სამართლებრივ ტრადიციებს ეფუძნება. თუმცა, ბრიტანეთის მონარქისთვის შეწყალების აბსოლუტური უფლებამოსილების მინიჭების მიზანი მონარქის მიმართ დაქვემდებარებულთა ერთგულების განმტკიცება, მათი ლოიალობის და მხარდაჭერის მოპოვება იყო. 1536 წელს ბრიტანეთის პარლამენტმა მეფე ჰენრი VIII-ს მიანიჭა შეწყალების აბსოლუტური უფლებამოსილება სახელმწიფო დალატის, მკვლელობის და სხვა სისხლის სამართლის საქმეებზე. აღნიშნულ აქტში სახელდებით არ იყო მითითებული თვითშეწყალების უფლების აკრძალვა, მაგრამ ვინაიდან იგულისხმებოდა, რომ მონარქი ვერ ჩაიდენდა დანაშაულს სახელმწიფოს ანუ საკუთარი თავის წინააღმდეგ, შესაბამისად, პარლამენტს დარჩა მხოლოდ ერთადერთი უფლებამოსილება, რომ მონარქი, სახელმწიფოს მმართველობისგან, იმპიჩმენტის წესით ჩამოეცილებინა. მოგვიანებით, მონარქის მიერ შეწყალების აბსოლუტური უფლებამოსილება შეიზღუდა ერთადერთი გარემოებით - მონარქი არ იყო უფლებამოსილი შეწყალებინა პირი (მათ შორის, საკუთარი თავი) იმპიჩმენტის პროცედურის შემთხვევაში. აღნიშნული დანაწესი, ასევე აისახა აშშ-ის კონსტიტუციაში, რომელზეც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი (NIDA 1999).

2. შეწყალების უფლებამოსილების მიზნები (აშშ-ის მოდელის მიხედვით)

აშშ-ის კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „პრეზიდენტს, აგრეთვე აქვს განაჩენის გაუქმებისა და შეწყალების უფლება იმ პირების მიმართ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს შეერთებული შტატების წინააღმდეგ, იმპიჩმენტის შემთხვევის გამოკლებით“⁴. აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს, რომ პრეზიდენტს აქვს შეწყალების ექსკლუზიური კომპეტენცია იმ შემთხვევაში, თუ პირმა დანაშაული ჩაიდინა ფედერალური კანონმდებლობის დარღვევით და სახეზე არ არის იმპიჩმენტის პროცედურა.

დამფუძნებელი მამების მიერ, ქვეყნის პრეზიდენტისთვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭების ძირითადი მიზეზები განმარტებულია ჰამილტონის მიერ ფედერალისტურ წერილებში⁵. ჰამილტონისვე განმარტებით, აღნიშნული უფლებამოსილება, თუნდაც სახელმწიფო ღალატისა და აჯანყების შემთხვევაში, მიზანშეწონილია, პრეზიდენტმა გამოიყენოს.

აშშ-ის პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილების განხორციელება 4 ძირითად მიზანს ემსახურება:

პირველი მიზანი არის შეწყალების გამოყენება სახელმწიფო ინტერესის გათვალისწინებით და პოლიტიკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულის ნათელი მაგალითია პრეზიდენტ ჯერალდ ფორდის მიერ მისი წინამორბედის, პრეზიდენტ ნიქსონის შეწყალება მანამდე, ვიდრე გამოძიება დაიწყებოდა და მას ბრალს წაუყენებდნენ. ასევე, პრეზიდენტ ლინკოლნის მიერ კონკრეტული პირებისთვის შეწყალების შეთავაზება, რათა შენარჩუნებულიყო ფედერალური ერთობა. იმავე მიზანს ემსახურებოდა პრეზიდენტ ჯონსონის მიერ „სამხრეთელებისთვის“ შეწყალების შეთავაზება ომის შემდეგ (Harrison 2001).

გარდა ამისა, შესაძლებელია, **შეწყალების მექანიზმის გამოყენების მიზანი იყოს მართლმსაჯულების შეცდომის გამოსწორება**. მართლმსაჯულების იდეალური სისტემის არსებობაც კი, ვერ გამორიცხავს შეცდომის დაშვებას, რომლის გამოსწორების შესაძლებლობაც თავად მართლმსაჯულების ორგანოებს შეზღუდულად აქვთ. სწორედ ამ შემთხვევაში, ეფექტურია შეწყალების მექანიზმის გამოყენება და დაშვებული შეცდომების გამოსწორება, რათა თავიდან იქნას აცილებული უდანაშაულო ადამიანის გასამართლება (Harrison 2001).

შეწყალების მექანიზმის გამოყენება, ასევე, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც პირი დამნაშავეა, არ უარყოფს თავის დანაშაულს, მაგრამ იაზრებს ჩადენილ ქმედებას და იმსახურებს დამატებით შანსს. გასული საუკუნის განმავლობაში, პრეზიდენტები ხშირად იწყებდნენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც იყვნენ დამნაშავეები, მათი შეწყალება მიზნად არ ისახავდა პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილებას ან მართლმსაჯულების სისტემის მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორებას, მაგრამ ისინი იმსახურებდნენ შესაძლებლობას, დაბრუნებოდნენ საზოგადოებას. აღნიშნული მიზნით შეწყალება, ხშირად განპირობებულია ჰუმანიტარული საჭიროებებით, მაგალითად - ასაკის, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული ქმედებისთვის გათვალისწინებული სანქცია ამკარად არაპროპორციულია მსგავსი ქმედებისთვის დადგენილის სასჯელისგან (Harrison 2001).

⁴ იხ. აშშ-ის კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/constitution>

⁵ იხ. <http://federalistpapers.ge/federali74.php>

გარდა ამისა, პრეზიდენტს შეუძლია, შეწყალების მექანიზმის გამოყენებით გავლენა მოახდინოს ფედერალური სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. აღნიშნული, შესაძლოა, განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი არ ეთანხმება კონკრეტული ქმედების კრიმინალიზებას ან აღნიშნული ქმედებისთვის განსაკუთრებით მკაცრი სასჯელის დაწესებას. მოცემულ შემთხვევაში, პრეზიდენტს შეუძლია, პირი სრულად გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისგან ან კონკრეტული სასჯელი შეუცვალოს უფრო ნაკლებად მძიმე სანქციით და ამით მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილებაზე (Harrison 2001).

ნიშანდობლივია, რომ პრეზიდენტის ეს უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ ფედერალურ დანაშაულებზე. შტატების დონეზე შეწყალებას, როგორც წესი, ახორციელებენ გუბერნატორები და თითოეულ შტატში შეწყალების მექანიზმის განსხვავებული მოდელი მოქმედებს (Novak 2016). აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საქმეზე *Herrera v. Collins 506 U.S. 390 (1993)* ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ აშშ-ის კონსტიტუციის თანახმად, შტატებს არა აქვთ ვალდებულება, ჰქონდეთ შეწყალების მექანიზმი, ისევე როგორც მათ შეუძლიათ, თავისი შეხედულებისამებრ შეიშუშავონ შეწყალების კონკრეტული მოდელი⁶. თითოეულ შტატს დადგენილი აქვს განსხვავებული მექანიზმი, რომელიც ასევე წარმოდგენილი იქნება ამ კვლევის სხვადასხვა ნაწილში.

აშშ-ის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში შეწყალების რაოდენობა განსხვავდებოდა. მაგალითად, აბრაამ ლინკოლნმა შეიწყალა 200 მოქალაქე და ასობით ჯარისკაცი. თეოდორ რუზველტმა პრეზიდენტობის პირველ წლებში შეიწყალა 134 პირი, ფრანკლინ რუზველტმა - 204, ხოლო პრეზიდენტმა ტრუმანმა - 107. პრეზიდენტად არჩევსას ბარაკ ობამას უნდა განეხილა 5000 განაცხადი (Colgate Love 2001). თუმცა, ოფიციალური სტატისტიკით, 2009-2010 წლებში, პრეზიდენტ ობამას არავინ შეუწყალებია. 2011 წელს მან შეიწყალა მხოლოდ 17 პირი, 2012 წელს - 6, 2013 წელს - 17, 2014 წელს - 22, ხოლო 2015 წელს - 91 პირი⁷.

ზოგადად, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ პირთა რაოდენობა განსაკუთრებით შემცირდა 1970-იანი წლების შემდეგ. კერძოდ, 1961-1980 წლებში, შეწყალების მსურველს ჰქონდა 30% შანსი, რომ შეწყალებულიყო. პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციის პირობებში აღნიშნული შანსი 3%-მდე შემცირდა. ეს გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, შეწყალების ბიუროკრატიული და რუტინული პროცედურის არსებობით (ROSENZWEIG 2012).

შეწყალების პროცესს აშშ-ში ადმინისტრირებას უწევს იუსტიციის დეპარტამენტი. 1898 წელს პრეზიდენტმა მაკ-კინლიმ, პირველად აშშ-ის ისტორიაში, გამოსცა აქტი შეწყალების პროცედურების შესახებ. ამ აქტის თანახმად, ნებისმიერ პირს შეწყალების შესახებ განცხადებით უნდა მიემართა იუსტიციის დეპარტამენტისთვის, ხოლო ამ სტრუქტურის ხელმძღვანელი (*Attorney General*) პასუხისმგებელი გახდა განაცხადების განხილვასა და პრეზიდენტისთვის მათ წარდგენაზე (Colgate Love 2001).

1970-იანი წლების მიწურულს, აღნიშნული უფლებამოსილება გადაეცა იუსტიციის დეპარტამენტის უფლებამოსილ თანამშრომელს, რომელიც პასუხისმგებელია შეწყალების განაცხადის განხილვასა და პრეზიდენტისთვის მის წარდგენაზე (*Pardon Attorney*). პირი, ვისაც სურს შეწყალებით მიმართოს პრეზიდენტს, ვალდებულია, წინასწარ განსაზღვრული ფორმით განაცხადი შეიტანოს იუსტიციის დეპარტამენტში მას შემდეგ, რაც მსჯავრდებიდან

⁶ იხ. <https://supreme.justia.com/cases/federal/us/506/390/case.html>

⁷ შეწყალების ოფიციალური სტატისტიკა ხელმისაწვდომია აქ: <http://www.justice.gov/pardon/clemency-statistics>

გასულია სულ მცირე 5 წელი, ან საპატიმრო დაწესებულების დატოვებიდან გასულია სულ მცირე 5 წელი, ან იმ შემთხვევაში, თუ პირს არ შეფარდება პატიმრობა, მსჯავრდებიდან გასულია სულ მცირე 5 წელი. დაუშვებელია, შეწყალების შესახებ განაცხადის შეტანა პრობაციონერის, პირობითი მსჯავრის მქონე პირის ან ვადაზე ადრე გათავისუფლებული პირის მიერ⁸. მას შემდეგ, რაც იუსტიციის დეპარტამენტი შეისწავლის განაცხადს შეწყალების შესახებ, იგი კონკრეტული რეკომენდაციით (დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ) მიმართავს პრეზიდენტს. აღნიშნული რეკომენდაცია შესასრულებლად სავალდებულო არ არის.

აშშ-ის პრეზიდენტი უფლებამოსილია, იუსტიციის დეპარტამენტის გვერდის ავლით და დადგენილი პროცედურების მიუხედავად, თავისი ინიციატივით შეიწყალოს პირი. ამის ნათელი მაგალითია პრეზიდენტ კლინტონის მიერ პრეზიდენტობის ბოლო დღეს გამოცემული შეწყალების რამდენიმე აქტი, როცა შეწყალების ადმინისტრირებას თეთრი სახლის თანამშრომლები ახდენდნენ. თუმცა, პრეზიდენტის აღნიშნულმა ქმედებამ (კლინტონის ე.წ. შუალამის შეწყალებებმა) საკმაოდ მწვავე კრიტიკა გამოიწვია, რაც უკავშირდებოდა პრეზიდენტის მიერ თავისი გარემოცვისა და ახლობლების შეწყალებას ყოველგვარი პროცედურის დაუცველად (Colgate Love 2001).

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ შეწყალების ცნება საკუთარ თავში მოიაზრებს აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივას, კონკრეტული პირი სრულად გაათავისუფლოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, მოეხსნას მას ნასამართლობა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები, შეჩერდეს ან გადავადდეს კონკრეტული სასჯელი; ასევე, კონკრეტული სისხლისსამართლებრივი სასჯელი შესაძლებელია, შეიცვალოს უფრო მსუბუქი სახეობით, რაც სხვადასხვა მიზნით შეიძლება იყოს დეტერმინირებული და გამოყენებული.

ისტორიულად, აღნიშნული უფლებამოსილება ერთპიროვნული მმართველის, მონარქის ექსკლუზიურ პრეროგატივას წარმოადგენდა. თანამედროვე დემოკრატიის, რესპუბლიკური მმართველობის თუ კონსტიტუციური მონარქიის პირობებშიც, აღნიშნული უფლებამოსილება რიგ ქვეყნებში, კვლავ რჩება აღმასრულებელი ხელისუფლების ექსკლუზიური კომპეტენციად (ამერიკული და ბრიტანული მოდელი). თუმცა, შეწყალების მექანიზმის თანამედროვე კონცეფცია არ გულისხმობს უნივერსალური მოდელის არსებობას, მათ შორის, აღნიშნული უფლებამოსილების მხოლოდ ერთპიროვნულად განხორციელების შესაძლებლობას.

3. პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის ბრძანებულების დადებითი სიახლეები

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის #120 ბრძანებულებით, შეწყალების ახალი წესი დამტკიცდა⁹. ახალმა ცვლილებებმა შეწყალების მექანიზმი უფრო სამართლიანი და განჭვრეტადი გახადა.

⁸ იხ. <http://www.justice.gov/pardon/rules-governing-petitions-executive-clemency>

⁹ პრეზიდენტის ახალი ბრძანებულებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა „შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის #277 ბრძანებულება.

2014 წლის 27 მარტამდე არსებული დებულებით, უვადო მსჯავრდებულს 25 წელი უნდა გაეტარებინა პენიტენციურ დაწესებულებაში, რათა მას უფლება ჰქონოდა შეწყალების კომისიისათვის მიემართა. 2014 წლის ცვლილებებით, ეს ვადა 15 წლამდე შემცირდა.

ძველი დებულებით, თუ მსჯავრდებული ბრალს არ აღიარებდა, შეწყალების კომისია მის საქმეს არ განიხილავდა. ცვლილებების თანახმად, აღიარება შეწყალების სავალდებულო კრიტერიუმს აღარ წარმოადგენს.

2014 წელს, ცვლილება შეეხო შეწყალების კომისიის დებულებას არასრულწლოვნებთან დაკავშირებით. კერძოდ, იმ მსჯავრდებულის საქმეს, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს არასრულწლოვანი იყო და სასჯელის მოხდის პერიოდში სრულწლოვანების ასაკს მიაღწია, შეწყალების კომისია განიხილავს, როგორც არასრულწლოვნის საქმეს, ყოველგვარი კრიტერიუმების გარეშე.

ახალი დებულებით, ცვლილებები შეეხო იმ მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხსაც, რომლებსაც საპატიმრო და პირობითი სასჯელი აქვთ. ახალი რეგულაციით, შეწყალების კომისია სასჯელს არ ითვლის პირობითთან ერთად, და მსჯელობს მხოლოდ საპატიმრო სასჯელით.

2014 წლამდე მოქმედი დებულებით, თუ შეწყალების კომისია მსჯავრდებულს შეწყალებაზე უარს ეტყობდა, მას კომისიისათვის ხელმეორედ მიმართვა 3 თვეში შეეძლო, ახალი რეგულაციით, აღნიშნული ვადა 6 თვეს შეადგენს.

2014 წლამდე არსებული რეგულაციით, იმ ამნისტირებული და შეწყალებული მსჯავრდებულის საქმეს, რომლებიც ნასამართლობის გაქარწყლებამდე ჩაიდენდნენ დანაშაულს და ისევ დააკავებდნენ, შეწყალების კომისია არ იხილავდა. ახალი ნორმებით, შეწყალების კომისია იხილავს ამ კატეგორიის მსჯავრდებულთა საქმეებს, თუ მსჯავრდებულმა სასჯელის 2/3 მოიხადა.

4. საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების მიზნები - დაურეგულირებელი საკითხი ქართულ რეალობაში

როგორც უკვე აღინიშნა, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ შეწყალების აქტის გამოცემა ორიენტირებულია ოთხ მიზანზე. ეს მიზნები, კონკრეტულად, შეიძლება იყოს: სახელმწიფო ინტერესის გათვალისწინება და პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილება; მართლმსაჯულების შეცდომის გამოსწორება; იმ პირის შეწყალება, რომელიც დამნაშავეა, არ უარყოფს თავის დანაშაულს, მაგრამ იაზრებს ჩადენილ ქმედებას და იმსახურებს დამატებით შანს ან მისი შეწყალება ნაკარნახევაა ჰუმანიტარული მიზეზით; ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა.

შეწყალების ინსტიტუტის ეფექტიანობას დიდწილად განაპირობებს შეწყალების მიზნის/მიზნების სწორი სამართლებრივი რეგლამენტაცია და პრაქტიკის დანერგვა, რომელიც წარმოდგენას შეუქმნის საზოგადოებას და უპირველესად, მსჯავრდებულს შეწყალების უფლებამოსილების არსისა და მისი გამოყენების თაობაზე.

არც საქართველოს კონსტიტუცია და არც შეწყალების მექანიზმის მომწესრიგებელი სხვა აქტები არ შეიცავენ ინფორმაციას შეწყალების მიზანთან/მიზნებთან დაკავშირებით, რაც გარკვეულ ბუნდოვანებას ბადებს შეწყალების მექანიზმის გამოყენების შესახებ და ცრუ მოლოდინებს იწვევს მსჯავრდებულებში.

შეწყალების კომისიის წევრთა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განმარტებით, მსჯავრდებულთა ნაწილს შეწყალება წარმოდგენილი აქვთ მართლმსაჯულების ხარვეზების გამოსწორების მექანიზმად, რაც განპირობებულია იმით, რომ შეწყალების მიზნების რეგლამენტაცია არ განხორციელებულა და შესაბამისად, მსჯავრდებულმაც არ იცის, რას ემსახურება შეწყალების მექანიზმი.

საქართველოს შეწყალების კომისიის წევრთა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა ნაწილის განმარტებით, ვინაიდან დღემდე სახელმწიფოს არ შეუქმნია დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტური მექანიზმი, მსჯავრდებულები შეწყალებას მიიჩნევენ სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთ საშუალებად, რომელსაც შეუძლია, კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადახედვის გზით, მსჯავრდებულთა სასჯელის შემცირება ან სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება.

შეწყალების კომისიის წევრთა ნაწილის განმარტებით, კომისიას შეწყალების თხოვნით მიმართავენ მსჯავრდებულები, რომელთაც თავი მიაჩნიათ უკანონო მსჯავრდების მსხვერპლად. საქართველოს პრეზიდენტი და შეწყალების კომისია კი უარს ეუბნებიან ამ კატეგორიის მსჯავრდებულებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ შეწყალება არ შეიძლება, განხილულ იქნას კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადახედვის მექანიზმად თუნდაც მსჯავრდებულს თავი უკანონო მსჯავრდების მსხვერპლად მიაჩნდეს.

მსჯავრდებულებში შეწყალებასთან დაკავშირებით ცრუ მოლოდინების თავიდან ასაცილებლად, სასურველია, შეწყალების მიზნების ნორმატიული რეგლამენტაცია, შესაბამისი პრაქტიკის დანერგვა და მსჯავრდებულთათვის მისი სათანადოდ მიწოდება.

5. შეწყალების უფლებამოსილების სამართლებრივი რეგლამენტაცია და მისი გავლენა სისხლის სამართლის პოლიტიკაზე (ქართული მოდელის მიხედვით)

შეწყალება წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან გამოხატულ ჰუმანურობისა და გულმოწყალების აქტს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მსჯავრდებულს, გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, შეუმცირდეს სასჯელი ან მოეხსნას ნასამართლობა. შეწყალების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, მსჯავრდებულს კიდევ ერთხელ მიეცეს შესაძლებლობა, სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან გამოჩენილი ჰუმანური დამოკიდებულებით დაიბრუნოს თავისუფლება და იქცეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი უცხოური მოდელების მიხედვით, შეწყალება, ძირითადად, სახელმწიფო მეთაურის¹⁰ კონსტიტუციური პრეროგატივაა, რომელიც ქვეყნების კონსტიტუციებითა და სხვა კანონქვემდებარე თუ საკანონმდებლო აქტებით არის რეგლამენტირებული. შეწყალების კომპეტენციის თანახმად, ქვეყნის მეთაური უფლებამოსილია, გამოსცეს შეწყალების აქტი მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად.

საქართველოშიც, შეწყალების ინსტიტუტი პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფო მეთაურის, ექსკლუზიური კონსტიტუციური პრეროგატივაა. საქართველოს კონსტიტუციის

¹⁰ მმართველობის ფორმის მიხედვით შესაძლებელია იყოს პრეზიდენტი, მეფე, დედოფალი და სხვა.

73-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ „საქართველოს პრეზიდენტი შეიწყალებს მსჯავრდებულთ“¹¹.

საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული უფლებამოსილება პრეზიდენტის ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარეობს. საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლი ადგენს, რომ „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. საქართველოს პრეზიდენტი მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას“.

შეწყალების ინსტიტუტი ქვეყნის სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ეფექტურად გატარებასაც ემსახურება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად „შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრულ პირთა მიმართ. შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. სასჯელმოხდელს შეწყალებით შეიძლება მოეხსნა ნასამართლობა“.

პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ შეწყალების აქტს საფუძველად ჰუმანიზმის პრინციპები უდევს, რომელთა ერთობლიობაც სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის¹² მე-11 მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებას გამოსცემს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მის საფუძველზე.

საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, შეწყალების ექსკლუზიური კომპეტენციის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ბრძანებულებით, თავად განისაზღვრავს მსჯავრდებულთა შეწყალების წესსა და პირობებს, შეწყალების კომისიის შემადგენლობას, რაც სრულად შეესაბამება ქვეყნის უზენაესი კანონის მოთხოვნებს.

შეწყალების გამოყენების წესი და მასთან დაკავშირებული პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის N120 ბრძანებულებით¹³. აღნიშნული დებულება შეიცავს რეგულირებებს მსჯავრდებულისა და იმ სასჯელმოხდელი პირის შეწყალების შესახებ, რომელმაც მოიხადა სასჯელი და არ აქვს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა. ბრძანებულება აყალიბებს იმ ძირითად პირობებსა და წესებს, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კონსტიტუციური კომპეტენციის პრაქტიკაში მოქმედება. ამავე ბრძანებულებით გათვალისწინებულია ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს შეწყალების მოთხოვნილი პირი და რა წესითაც უნდა განხორციელდეს შეწყალების საკითხის გადაწყვეტა.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 ნოემბრის N928 ბრძანებულებით¹⁴, საქართველოს პრეზიდენტისათვის მსჯავრდებულთა შეწყალების კონსტიტუციურ უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, შექმნილია შეწყალების საკითხთა კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია ცხრა წევრით. 2016 წლის **თებერვალში**, შეწყალების საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26

¹¹ საქართველოს კონსტიტუცია: <http://parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

¹² იხ: ნორმატიული აქტების შესახებ კანონი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052>

¹³ პრეზიდენტის ბრძანებულება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2299717>

¹⁴ იხ: პრეზიდენტის ბრძანებულება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2997072>

ნოემბრის N928 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით, შეწყალების კომისიას კიდევ ორი წევრი დაემატა¹⁵.

პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის N120 ბრძანებულებით, შეწყალების კომისია უფლებამოსილია, განიხილოს იმ მსჯავრდებულის საქმე, რომელიც სასჯელს იხდის უვადო თავისუფლების აღკვეთისა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით; სასჯელს იხდის ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით და სასჯელის ნაწილი ჩათვლილი აქვთ პირობით მსჯავრად. შეწყალების კომისია ასევე, უფლებამოსილია, განიხილოს სასჯელმოხდელი პირის შეწყალების საკითხი მისთვის ნასამართლობის მოხსნის მიზნით.

6. შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების ტენდენცია სხვადასხვა დანაშაულებთან დაკავშირებით და საქართველოს პრეზიდენტის ლიბერალური მიდგომა ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებულთა მიმართ

საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2013 წლის 18 ნოემბრიდან 2015 წლის 3 ნოემბრამდე პერიოდში შეწყალების საკითხთა კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე შეწყალებულია 1559 მსჯავრდებული¹⁶.


როგორც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციის¹⁷ ანალიზიდან ირკვევა, პრეზიდენტს აქვს ლიბერალური მიდგომა ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა მიმართ. 2013 წლის 18 ნოემბრიდან 2015 წლის 3 ნოემბრამდე, პრეზიდენტს ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრდებული 986 პირი ჰყავს შეწყალებული 1559 მსჯავრდებულიდან ანუ სრული რაოდენობის დაახლოებით 62%, შეწყალებულ პატიმართა დაახლოებით 25% სასჯელს იხდიდა საკუთარების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის. დარჩენილი 13% - სხვა ტიპის დანაშაულებისათვის.

¹⁵ ზაზა ფირალიშვილი, ფილოსოფოსი და ნონა გაფრინდაშვილი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში. მათ გარდა შეწყალების კომისიას წარმოადგენენ: ზვიად ქორიძე - ჟურნალისტი, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს წევრი, კომისიის თავმჯდომარე; ლია მუხაშავერია - იურისტი, უფლებადამცველი; ეკა გიგაური - საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი; ვასილ (ბასა) ჯანიკაშვილი - მწერალი, დრამატურგი; რევაზ კიკნაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი; კონსტანტინე ჯანდიერი - მწერალი; უჩა ნანუაშვილი - საქართველოს სახალხო დამცველი; გივი შაჰნაზარი - მწერალი; მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუამე) - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი;

¹⁶ იხ: დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 3 ნოემბრის #10824 წერილი ადამიანის უფლებათა ცენტრისადმი.

¹⁷ იხ: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2015 წლის 3 ნოემბრის #10824 წერილი ადამიანის უფლებათა ცენტრისადმი.

ტენდენცია, იხ.: გრაფიკის სახით:



მოწოდებული ინფორმაციის ანალიზიდან, ასევე, ირკვევა, რომ შედარებით ნაკლებად ხდება იმ მსჯავრდებულების შეწყალება, რომლებიც სასჯელს იხდიან ძალადობრივი დანაშაულების გამო, როგორცაა, მაგალითად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და სხვა.

7. შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების ტენდენციები 2004-2015 წლებში¹⁸

2004 წლიდან 2013 წლის ნოემბრამდე, შეწყალების საკითხთა კომისიას შუამდგომლობით მიმართა 49 599 მსჯავრდებულმა პირმა, მათ შორის - 45 618 მამაკაცი, 3698 ქალმა და 283 არასრულწლოვანმა. აქედან, შეწყალების საკითხთა კომისიის რეკომენდაციით, საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა 3068 მსჯავრდებული. მათ შორის 2803 მამაკაცი, 216 ქალი¹⁹ და 49 არასრულწლოვანი²⁰.

¹⁸ დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტის მიერ ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის მოწოდებული მონაცემები აქ გაანალიზებულია 2015 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

¹⁹ 130 ქალი მსჯავრდებული გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის მოხდისგან, ხოლო 86 მსჯავრდებულ ქალს შეუმცირდა დარჩენილი საპატიმრო სასჯელი.


²⁰ 40 არასრულწლოვანი მსჯავრდებული გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის მოხდისგან, 9 არასრულწლოვან მსჯავრდებულს შეუმცირდა დარჩენილი საპატიმრო სასჯელი.

2004 წლიდან 2013 წლის ნოემბრამდე, შეწყალებულია მსჯავრდებულ მამაკაცთა დაახლოებით 6% (45 618 მამაკაცი მსჯავრდებულისა პრეზიდენტმა შეიწყალა 2803 მსჯავრდებული).

2004 წლიდან 2013 წლის ნოემბრამდე, შეწყალებულია მსჯავრდებულ ქალთა დაახლოებით 6% (3698 ქალი მსჯავრდებულისა პრეზიდენტმა შეიწყალა 216 მსჯავრდებული).

2004 წლიდან 2013 წლის ნოემბრამდე, შეწყალებულია არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დაახლოებით 18% (283 მსჯავრდებული არასრულწლოვანიდან პრეზიდენტმა შეიწყალა 49 მსჯავრდებული).

ტენდენცია, იხ.: გრაფიკის სახით:



2013 წლის ნოემბრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით შეწყალების საკითხთა კომისიას შუამდგომლობით მიმართა 13 394 მსჯავრდებულმა, მათ შორისაა 12 680 მამაკაცი, 627 ქალი და **87** არასრულწლოვანი. შეწყალების საკითხთა კომისიის რეკომენდაციით, საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა სულ 1797 მსჯავრდებული. მათ შორის - 1665 მამაკაცი²¹, 80 ქალი²² და 52 არასრულწლოვანი²³.

²¹ 1217 მსჯავრდებული გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის მოხდისგან, ხოლო 448 მსჯავრდებულს შეუმცირდა დარჩენილი საპატიმრო სასჯელი.

²² 49 მსჯავრდებული ქალი გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის მოხდისგან, ხოლო 31 მსჯავრდებულ ქალს შეუმცირდა დარჩენილი საპატიმრო სასჯელი.


²³ 22 არასრულწლოვანი მსჯავრდებული გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის მოხდისგან, 30 არასრულწლოვან მსჯავრდებულს კი შეუმცირდა დარჩენილი საპატიმრო სასჯელი.

2013 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ჩათვლით, შეწყალებულია მსჯავრდებულ მამაკაცთა დაახლოებით 13 % (12 680 მსჯავრდებული მამაკაციდან პრეზიდენტმა შეიწყალა 1665 მსჯავრდებული).

2013 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ჩათვლით, შეწყალებულია მსჯავრდებულ ქალთა დაახლოებით 13 % (627 ქალი მსჯავრდებულიდან პრეზიდენტმა შეიწყალა 80 მსჯავრდებული).

2013 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ჩათვლით, შეწყალებულია არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დაახლოებით 60% (87 არასრულწლოვანი მსჯავრდებულიდან შეწყალებულია 52 მსჯავრდებული).

ტენდენცია, იხ.: გრაფიკის სახით:



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებიდან ²⁴ ირკვევა, რომ 2013 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ჩათვლით (მარტო 2 წლისა და 2 თვის განმავლობაში შეწყალებულია 1797 მსჯავრდებული) პროპორციულად მეტი მსჯავრდებულია შეწყალებული, ვიდრე 2004-2013 წლებში (10 წლის განმავლობაში შეწყალებულია მხოლოდ 3068 მსჯავრდებული).

აღნიშნული მონაცემებიდან იკვეთება, რომ 2013 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ჩათვლით, საქართველოს პრეზიდენტი პროპორციულად უფრო მეტ მსჯავრდებულს იწყალებს, ვიდრე 2004-2013 წლებში.

ამასთანავე, ირკვევა 2013 წლის ნოემბრიდან იკვეთება საქართველოს პრეზიდენტის უფრო ჰუმანური დამოკიდებულება ქალებისა და არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ. თუკი 2004-2013 წლებში (10 წლის განმავლობაში), პრეზიდენტმა შეიწყალა მხოლოდ

²⁴ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2015 წლის 25 დეკემბრის #13020 წერილი ადამიანის უფლებათა ცენტრისადმი.


216 ქალი მსჯავრდებული, 2013 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ჩათვლით (მხოლოდ 2 წლისა და ორი თვის განმავლობაში) პრეზიდენტს შეწყალებული ჰყავს 80 ქალი მსჯავრდებული.

უპრეცედენტოდ ჰუმანური დამოკიდებულება იკვეთება არასრულწლოვნებთან დაკავშირებით. საქართველოს პრეზიდენტს 2013 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ჩათვლით 87 არასრულწლოვანი მსჯავრდებულიდან შეწყალებული ჰყავს 52 მსჯავრდებული (დაახლოებით 60%).

8. შეწყალების უფლებამოსილების გამოყენება უვადო მსჯავრდებულების მიმართ

2013 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ჩათვლით, შეწყალების საკითხთა კომისიას შუამდგომლობით მიმართა 65-მა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილმა მსჯავრდებულმა (62 მამაკაცი, 3 ქალი). შეწყალების საკითხთა კომისიის რეკომენდაციით, საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა 5 უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული (3 ქალი და 2 მამაკაცი), რომელთაც განესაზღვრათ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების კონკრეტული თარიღები²⁵.

ტენდენცია, იხ.: გრაფიკის სახით:



თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალი მსჯავრდებულების რაოდენობა (დაახლოებით 300 მსჯავრდებული) ბევრად ნაკლებია მამაკაც მსჯავრდებულებზე (დაახლოებით 10 000), იკვეთება საქართველოს პრეზიდენტის ლიბერალური მიდგომა ქალ უვადო მსჯავრდებულებთან მიმართებით (3 მსჯავრდებულიდან სამივეს შეეხო შეწყალება). რაც

²⁵ იქვე

შეხება მამაკაც უვადო მსჯავრდებულებს, პრეზიდენტს შეწყალებული ჰყავს დაახლოებით 3% (62 მსჯავრდებულისგან შეიწყალა 2 მსჯავრდებული).

9. შეწყალების უფლებამოსილების მიმოხილვა სამართლებრივი სისტემების მიხედვით

ზოგადად, ამა თუ იმ სახელმწიფოს შეწყალების მექანიზმის განსხვავებული მოდელი აქვს. თუმცა, არსებობს გარკვეული მსგავსებები და განსხვავებები იმის მიხედვით, თუ რომელ სამართლებრივ სისტემას აღიარებს ესა თუ ის ქვეყანა. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, საერთო სამართლის სისტემისგან განსხვავებით, შეწყალების უფლებამოსილება და პროცედურები მკაცრად რეგლამენტირებულია კონსტიტუციურ ან საკანონმდებლო დონეზე (Novak 2016). მაგალითად, თურქეთის, შვეიცარიისა და ურუგვაის შემთხვევაში, შეწყალების უფლებამოსილებას, ძირითადად, საკანონმდებლო ორგანო ახორციელებს. თურქეთის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მიხედვით, პრეზიდენტი უფლებამოსილია, პირს შეუმციროს სასჯელი ან სასჯელის მოხდისგან სრულად გაათავისუფლოს მხოლოდ ქრონიკული დაავადების, შეზღუდული შესაძლებლობის ან ასაკის გამო²⁶. შვეიცარიის შემთხვევაში, შეწყალების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს²⁷. ანალოგიური წესია განმტკიცებული ურუგვაის კონსტიტუციით²⁸.

საბერძნეთის კონსტიტუციის 47-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეიწყლოს პირი მხოლოდ იუსტიციის მინისტრის რეკომენდაციით და სპეციალურ საბჭოსთან კონსულტაციის გავლის შემდეგ. ხსენებული საბჭოს უმრავლესობას შეადგენენ მოსამართლეები²⁹. თუმცა, იუსტიციის მინისტრის რეკომენდაციისგან განსხვავებით, საბჭოსთან კონსულტაცია სავალდებულო არ არის. გარდა ამისა, როგორც საბერძნეთის, ასევე დანიის შემთხვევაში, კონკრეტული მინისტრის შეწყალება პრეზიდენტს მხოლოდ პარლამენტის თანხმობით შეუძლია (Novak 2016).

გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყანაში, როგორცაა - პორტუგალია, ფინეთი ან ინდონეზია, პრეზიდენტი ვალდებულია, კონსულტაცია გაიაროს მთავრობასთან და სავალდებულო წესით გაითვალისწინოს უზენაესი სასამართლოს მოსაზრება კონკრეტული შეწყალების საქმესთან დაკავშირებით. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში შეწყალების გამოყენებისას, უპირატესობა მაინც ამნისტიას ენიჭება, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოები ახორციელებენ (Novak 2016).

კონტინენტური სამართლის ქვეყნებისგან განსხვავებით, საერთო სამართლის ქვეყნებში ისტორიულად დომინირებდა შეწყალების მექანიზმის ბრიტანული მოდელი. ბრიტანეთის კოლონიების არსებობის პერიოდში, ბრიტანეთის მონარქი ადგილობრივ მმართველებს გადასცემდა შეწყალების უფლებამოსილებას და ისინი აღნიშნულ უფლებამოსილებას თავისი იურისდიქციის ფარგლებში იყენებდნენ. დღესდღეობით, როგორც ერთა

²⁶ იხ. თურქეთის კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია:

http://www.hri.org/docs/turkey/part_iii_2.html

²⁷ იხ. შვეიცარიის კონსტიტუციის 157-ე მუხლი, ხელმისაწვდომია:

<https://www.admin.ch/opc/en/classified-compilation/19995395/201506140000/101.pdf>

²⁸ იხ. ურუგვაის კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-14 პუნქტი, ხელმისაწვდომია:

https://www.unodc.org/rldb/pdf/Uruguay_const_1967.doc

²⁹ იხ. საბერძნეთის კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია:

<http://www.hri.org/docs/syntaxma/artcl50.html#A47>

თანამეგობრობის წევრი ქვეყნები, ასევე ყველა ის სახელმწიფო, რომელიც წარსულში იყო ბრიტანეთის კოლონია, შეწყალების მექანიზმის განსხვავებულ მოდელს განსაზღვრავს. (Novak 2016).

10. შეწყალების უფლებამოსილების მიმოხილვა სახელმწიფო მმართველობის მოდელების მიხედვით

შეწყალების მექანიზმის მოდელები, ასევე, განსხვავდება სახელმწიფოების მმართველობის სისტემების მიხედვით. კერძოდ, ქვეყნებში, რომლებიც იმართება კოლექტიური ორგანოების მიერ (მაგალითად, როგორც იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ან საბჭოთა კავშირი, ხოლო დღესდღეობით - ჩინეთი), შეწყალების უფლებამოსილება გადაცემული აქვს კოლექტიურ ორგანოს (Novak 2016).

იმ ქვეყნებში, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება განაწილებულია პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის, შეწყალების უფლებამოსილება საჭიროებს კონტრასიგნაციას. მაგალითად, რუმინეთის კონსტიტუციის 94-ე მუხლის მიხედვით, პრეზიდენტი იწყებს მსჯავრდებულთ³⁰. თუმცა, მოქმედი რეგულაციების მიხედვით, აღნიშნული უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ საპატიმრო სასჯელებზე და, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში შევა. გარდა ამისა, პრეზიდენტის მიერ გამოცემული აქტი ვალიდურია მხოლოდ პრემიერ-მინისტრის მხრიდან კონტრასიგნაციის შემთხვევაში. პრეზიდენტი, ასევე, უფლებამოსილია, კონსულტაცია გაიაროს იუსტიციის მინისტრთან, მაგრამ იუსტიციის მინისტრის რეკომენდაცია სავალდებულოდ შესასრულებელი არ არის.

რუმინეთისგან განსხვავებით, პოლონეთის პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეიწყლოს პირი და აღნიშნულის განსახორციელებლად მას არ სჭირდება პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაცია, მიუხედავად იმისა, რომ სხვა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელება ასეთ თანხმობას საჭიროებს³¹. საფრანგეთის შემთხვევაში, პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეუცვალოს პირს კონკრეტული სასჯელი უფრო მსუბუქი სანქციით, შეაჩეროს ან გადაავადოს სასჯელის მოქმედება, რაც შეწყალების მექანიზმის შეზღუდული შინაარსით გამოყენებას წარმოადგენს (Novak 2016).

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, შეწყალების მექანიზმი ცხადად რეგლამენტირებულია კონსტიტუციის ან/და კანონმდებლობის დონეზე. ამასთან, რიგ ქვეყნებში შეწყალების უფლებამოსილებას სრულად ან ნაწილობრივ ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი ერთპიროვნულად (როგორც წესი, ქვეყნის პრეზიდენტი) ან აღნიშნული კომპეტენცია გადაცემულია საკანონმდებლო ორგანოსთვის. საერთო სამართლის ქვეყნებში, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, უპირატესობას ანიჭებენ ბრიტანულ მოდელს, მაგრამ თითოეულ ქვეყანაში არსებული სისტემა მნიშვნელოვანი სახეცვლილებით და განსხვავებით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება მმართველობის მოდელის მიხედვით განსხვავებებს, რიგ ქვეყნებში შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია განაწილებულია

³⁰ იხ. რუმინეთის კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია:

http://www.cdep.ro/pls/dic/site.page?den=act2_2&par1=3#t3c2s0sba94

³¹ იხ. პოლონეთის კონსტიტუცია, მუხ. 139, ხელმისაწვდომია:

<http://www.sejm.gov.pl/prawo/konst/angielski/kon1.htm>

რამდენიმე პირს შორის, ხოლო სხვა შემთხვევებში იგი ხორციელდება ერთპიროვნულად, მაგრამ შეზღუდული შინაარსით.

11. შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა მოდელების მიხედვით

11.1. გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღება

როგორც უკვე აღინიშნა, შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღება უფრო მეტად დამახასიათებელია საერთო სამართლის ქვეყნებისთვის და იგივე წესი მოქმედებს აშშ-ის პრეზიდენტის შემთხვევაშიც. თუმცა, მსგავსი პრაქტიკა დამკვიდრებულია რიგ ევროპული ქვეყნებშიც. მაგალითად, ჩეხეთის კონსტიტუციის 62-ე მუხლის მიხედვით, ჩეხეთის პრეზიდენტს ენიჭება შეწყალების ექსკლუზიური უფლებამოსილება, მათ შორის, აღნიშნული კომპეტენცია მოიცავს როგორც გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის, ასევე პირისთვის ბრალდების წაყენებამდე მის შეწყალებას და ნასამართლობის მოხსნას³².

ბუტანის სამეფოს კონსტიტუციით, მონარქს აქვს აბსოლუტური და შეუზღუდავი უფლებამოსილება შეიწყალოს პირი ან გამოსცეს ამნისტიის შესახებ აქტი³³. იგივე წესი მოქმედებს ბანგლადეშის, მალდივების და სუდანის შემთხვევაშიც (Novak 2016). აღნიშნული წესი ასევე დამკვიდრებულია აშშ-ის ზოგიერთ შტატში (სულ 21 შტატი). მაგალითად, კალიფორნიის გუბერნატორი უფლებამოსილია, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება შეწყალების შესახებ, იმპიჩმენტის პროცედურის გამოკლებით. თუმცა, იგი საჭიროებს შტატის უზენაესი სასამართლოს 4 მოსამართლის რეკომენდაციას იმ შემთხვევაში, თუ შესაწყალებელი პირი 2-ჯერ ან მეტჯერ არის ნასამართლევ³⁴.

11.2. გადაწყვეტილების მიღება მინისტრთან ერთად

ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია და კანონმდებლობა, შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ითვალისწინებს მთავრობის წევრის (მინისტრის) მონაწილეობას. ამ პროცესში მთავრობის წევრის მონაწილეობა, შესაძლებელია, იყოს სავალდებულო, ან მას ჰქონდეს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი. მთავრობის წევრის მონაწილეობა განპირობებულია იმით, რომ შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობდეს პირი, რომელიც ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე, რაც მთლიანად პროცესს უფრო სამართლიანს ხდის (Novak 2016).

მაგალითად, ახალი ზელანდიის შემთხვევაში, ზელანდიის მთავარი გუბერნატორი (Governor General) შეწყალების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის მინისტრთან ერთად (Novak 2016). ირლანდიის კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეიწყალოს პირი, მათ შორის, შეუცვალოს კონკრეტული

³² იხ. ჩეხეთის კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია:

<http://www.psp.cz/cgi-bin/eng/docs/laws/1993/1.html>

³³ იხ. ბუტანის კონსტიტუცია, მუხ.2(16), ხელმისაწვდომია:

<http://www.bhutanaudit.gov.bt/About%20Us/Mandates/Constitution%20of%20Bhutan%202008.pdf>

³⁴ იხ. კალიფორნიის კონსტიტუცია, მუხ.5 (8), ხელმისაწვდომია:

http://www.leginfo.ca.gov/const/article_5

სასჯელი უფრო მსუბუქი სანქციით, შეაჩეროს ან გადაავადოს სასჯელის მოქმედება. თუმცა, პირისთვის კონკრეტული სასჯელის უფრო მსუბუქი სანქციით შეცვლა ან სასჯელის შეჩერება თუ მისი მოქმედების გადავადება, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, შესაძლებელია, გადაეცეს სხვა უფლებამოსილ პირს³⁵. შეწყალების შესახებ გადაწყვეტილება ამ ნაწილში, შესაძლებელია, ერთპიროვნულად მიიღოს იუსტიციის მინისტრმა.

ფლორიდის შტატის შემთხვევაში, შტატის გუბერნატორი უფლებამოსილია, პირს შეუჩეროს ან გადაუვადოს სასჯელის მოქმედება 60 დღემდე, იმპიჩმენტის და სახელმწიფო ღალატის შემთხვევების გამოკლებით. თუმცა, შეწყალების უფლებამოსილების სრულად განსახორციელებლად, მას ესაჭიროება მინისტრთა კაბინეტის 2 წევრის თანხმობა³⁶.

11.3. გადაწყვეტილების მიღება მთავრობასთან (მთელ კაბინეტთან) ერთად

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების პროცესში ითვალისწინებს არა მხოლოდ მთავრობის წევრის, არამედ მთლიანად მთავრობის, როგორც კოლეგიური ორგანოს, მონაწილეობის შესაძლებლობას. აღნიშნული ემსახურება იმ მიზანს, რომ შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების პასუხისმგებლობა მთელ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე თანაბრად გადანაწილდეს (Novak 2016).

მაგალითად, სინგაპურის კონსტიტუციით, მთავრობა, პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის წევრების მონაწილეობით, შეწყალების შესახებ გასცემს სარეკომენდაციო ხასიათის დასკვნას, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი³⁷. ზიმბაბვეს კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი შეწყალების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მთავრობასთან კონსულტაციის გამართვის შემდეგ³⁸. ბოტსვანის კანონმდებლობით, მთავრობასთან კონსულტაცია, საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს პრაქტიკული დანიშნულება (Novak 2016).

ინდოეთის შემთხვევაში, შეწყალების უფლებამოსილება აქვს ქვეყნის პრეზიდენტს და შტატის გუბერნატორს. თუმცა, ინდოეთის უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნული კომპეტენცია გულისხმობს შესაბამისი უფლებამოსილი პირების ვალდებულებას, შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, კონსულტაცია გაიარონ მინისტრთა საბჭოსთან. მინისტრთა საბჭოს მიერ გაცემული დასკვნა სავალდებულო ხასიათისაა და უნდა შესრულდეს. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი არ ეთანხმება საბჭოს დასკვნას, იგი მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს მას ხელახალი განხილვისთვის. მინისტრთა საბჭო განიხილავს პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს და შეუძლია, აღნიშნული შენიშვნები არ გაითვალისწინოს. ამ შემთხვევაში, მინისტრთა საბჭო კვლავ უგზავნის პრეზიდენტს თავის დასკვნას და პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას შეწყალების შესახებ. მსგავსი რთული პროცედურის გამო, 1997 წლიდან დღემდე, სამმა სხვადასხვა პრეზიდენტმა, შეწყალების მოთხოვნით შესული 26 განაცხადიდან მხოლოდ ერთზე მიიღო გადაწყვეტილება (Novak 2016).

³⁵ იხ. ირლანდიის კონსტიტუცია. ხელმისაწვდომია: http://www.taoiseach.gov.ie/eng/Historical_Information/The_Constitution/

³⁶ იხ. ფლორიდის კონსტიტუცია, მუხ.4(8). ხელმისაწვდომია: <http://www.leg.state.fl.us/statutes/index.cfm?submenu=3#A4>

³⁷ იხ. სინგაპურის კონსტიტუცია, მუხ. 22P, ხელმისაწვდომია:

<http://statutes.agc.gov.sg/aol/search/display/view.w3p;ident=fea16a0c-d9c2-44fa-926a-69218f273b07;page=0;query=DocId%3A%22cf2412ff-fca5-4a64-a8ef-b95b8987728e%22%20Status%3Ainforce%20Depth%3A0;rec=0#pr22P-he->

³⁸ იხ. ზიმბაბვეს კონსტიტუცია, მუხ.112(1), ხელმისაწვდომია:

https://www.constituteproject.org/constitution/Zimbabwe_2013.pdf

11.4. გადაწყვეტილების მიღება სათათბირო ორგანოსთან ერთად

შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღება სათათბირო ორგანოსთან ერთად, განსხვავდება მინისტრთა კაბინეტის მონაწილეობით ან შეწყალების კომისიასთან ერთად გადაწყვეტილების მიღებისგან. სათათბირო ორგანო არის ის ორგანო, რომელიც უფლებამოსილ პირს რეკომენდაციას უწევს არა მხოლოდ შეწყალების, არამედ ზოგადად, მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტის პროცესში (Novak 2016).

განას კონსტიტუცია ქვეყნის პრეზიდენტს ავალდებულებს, შეწყალების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს სახელმწიფო საბჭოსთან ერთად³⁹. სახელმწიფო საბჭო წარმოადგენს ტრადიციულ უხუცესთა კრებას, რომელიც პრეზიდენტს რეკომენდაციას უწევს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას. საბჭოში უხუცესებთან ერთად, შედიან თითოეული რეგიონიდან არჩეული წევრები, პრეზიდენტის მიერ დანიშნული გამორჩეული მოქალაქეები და *ex officio* სტატუსით თავდაცვის მინისტრი, პოლიციის გენერალური ინსპექტორი და პარლამენტის ზედა პალატის თავმჯდომარე. საბჭო 24 წევრისგან შედგება და წარმოადგენს ერთა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან ორგანოს, რომელიც მონაწილეობს ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის, შეწყალების გამოყენების საკითხებთან მიმართებით⁴⁰.

მსგავსი მექანიზმი მოქმედებს მასაჩუსეტსის შტატშიც. კერძოდ, შტატის გუბერნატორი ვალდებულია, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებამდე, კონსულტაცია გაიაროს გუბერნატორის საბჭოსთან. აღნიშნული საბჭო 8 წევრისგან შედგება, რომლებიც აირჩევიან შტატის სხვადასხვა დასახლებიდან. თუმცა, განას მოდელისგან განსხვავებით, საბჭოს დასკვნა არ არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის. შეწყალების შესახებ საბჭოს მიერ გაცემული დასკვნა, გუბერნატორისთვის სავალდებულოდ შესასრულებელია⁴¹. მსგავსია, ნიუ-ჰემპშირის შტატის მოდელიც, რომლის მიხედვითაც, გუბერნატორი ვალდებულია გაითვალისწინოს აღმასრულებელი საბჭოს რეკომენდაცია შეწყალებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას. საბჭო 5 წევრისგან შედგება, რომლებიც აირჩევიან შტატის სპეციალურად შექმნილი 5 დასახლებიდან და მასაჩუსეტსის საბჭოს მსგავსად, მათაც აქვთ გუბერნატორის გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების უფლება⁴².

11.5. გადაწყვეტილების მიღება შეწყალების კომისიასთან ერთად

შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შესაბამის კომისიასთან ერთად, გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც უფლებამოსილი პირი აღჭურვილია ექსკლუზიური კომპეტენციით, მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება და იგი ქმნის სპეციალურ ორგანოს, რომელიც თითოეულ საქმესთან დაკავშირებით გასცემს მხოლოდ სარეკომენდაციო დასკვნას. აღნიშნული მოდელი მოქმედებს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის არის: ზამბია, მალაიზია, პაპუა-ახალი გვინეა, მალავი, ბელიზი, სოლომონის კუნძულები და ა.შ. (Novak 2016).

³⁹ იხ. განას კონსტიტუცია, მუხ.72(1), ხელმისაწვდომია:

http://www.judicial.gov.gh/constitution/chapter/chap_8.htm

⁴⁰ იხ. <http://www.ghana.gov.gh/index.php/governance/council-of-state>

⁴¹ იხ. <http://www.mass.gov/portal/government-taxes-public-service/about-state-government/govs-council.html>

⁴² იხ. ნიუ ჰემპშირის კონსტიტუცია, მუხ.52, ხელმისაწვდომია:

<https://www.nh.gov/constitution/governor.html>

მსგავსი მოდელი მოქმედებს აშშ-ის ზოგიერთ შტატშიც. მაგალითად, ვისკონსინის შტატის გუბერნატორი, შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სარგებლობს აბსოლუტური დისკრეციით. თუმცა, გუბერნატორთან შექმნილია შეწყალების კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედის იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენელი, საზოგადოების 4 წარმომადგენელი და გუბერნატორის სამართლებრივი დეპარტამენტის თანამშრომლები. აღნიშნული კომისია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რეკომენდაციით მიმართავს გუბერნატორს ამა თუ იმ პირის შეწყალების თაობაზე⁴³.

აიოვას შტატის კანონმდებლობით, შტატის გუბერნატორი ვალდებულია, კონსულტაცია გაიაროს შეწყალების კომისიასთან, თუმცა კომისიის დასკვნა არ არის სავალდებულო ხასიათის.⁴⁴ მსგავსი მოდელი მოქმედებს კენტუკის შტატშიც, კერძოდ შტატის კონსტიტუციის თანახმად, გუბერნატორი ვალდებულია კონსულტაცია გაიაროს შეწყალების კომისიასთან, თუმცა კომისიის რეკომენდაცია შესასრულებლად სავალდებულო არ არის⁴⁵. მეინის შტატის კანონმდებლობით, შეწყალების კომისია, შეწყალების შესახებ განაცხადს განიხილავს ზეპირი მოსმენით და განმცხადებლის მონაწილეობით. აღნიშნული პროცედურის გავლის შემდეგ, კომისია რეკომენდაციით მიმართავს გუბერნატორს⁴⁶. მსგავსი პროცედურებია გათვალისწინებული მიჩიგანის და მისურის შტატების კანონმდებლობით. ორივე შტატის შემთხვევაში, შეწყალების კომისია ზეპირი მოსმენით განიხილავს შეწყალების საქმეებს და რეკომენდაციით მიმართავს გუბერნატორს⁴⁷. მსგავსი რეგულაციები მოქმედებს სამხრეთ დაკოტა, კოლორადოს, ტენესის და მერილენდის შტატებში.

11.6. გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ შეწყალების კომისიის მიერ

აშშ-ის ზოგიერთ შტატში, შეწყალების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს შეწყალების კომისია. აღნიშნული მოდელი მოქმედებს შემდეგ შტატებში: ალაბამა, კონექტიკუტი, ჯორჯია, აიდაჰო, მინესოტა, ნებრასკა, ნევადა, სამხრეთ კაროლინა და იუტა. ნევადის შტატის კანონმდებლობის მიხედვით, შეწყალების კომისია შედგება გუბერნატორის, შტატის უზენაესის სასამართლოს მოსამართლეების და შტატის მთავარი პროკურორისგან (Novak 2016). მინესოტას შტატის შემთხვევაში, კომისია შედგება გუბერნატორის, შტატის მთავარი პროკურორის და შტატის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისგან⁴⁸. მსგავსი შემადგენლობით იხილავს საქმეებს ალაბამას შტატის შეწყალების კომისიაც. აიდაჰოს შტატის შემთხვევაში, კომისია შედგება 5 წევრისგან, რომლებსაც 3 წლის ვადით ნიშნავს გუბერნატორი და ამტკიცებს შტატის საკანონმდებლო ორგანო. კომისიის 5 წევრიდან მხოლოდ 3 წევრი შეიძლება იყოს ერთი და იმავე პოლიტიკური პარტიის წევრი⁴⁹. სამხრეთ

⁴³ იხ. ვისკონსინის შტატის კონსტიტუცია, მუხ. 5(6), ხელმისაწვდომია:

<https://docs.legis.wisconsin.gov/constitution/wi>

⁴⁴ იხ. აიოვას შტატის კონსტიტუცია, მუხ.4(16), ხელმისაწვდომია:

<https://www.legis.iowa.gov/docs/publications/icnst/402726.pdf>

⁴⁵ იხ. კენტუკის შტატის კონსტიტუცია, მუხ.77, ხელმისაწვდომია:

<http://www.lrc.ky.gov/legresou/constitu/077.htm>

⁴⁶ იხ. მეინის შტატის კონსტიტუცია, მუხ.5(11), ხელმისაწვდომია:

<http://legislature.maine.gov/const/>

⁴⁷ იხ. მიჩიგანის შტატის კონსტიტუცია, მუხ.5(14), ხელმისაწვდომია:

[http://www.legislature.mi.gov/\(S\(15ygf052jfqbs44xw5mcejz\)\)/mileg.aspx?page=getObject&objectName=mcl-Article-V-14](http://www.legislature.mi.gov/(S(15ygf052jfqbs44xw5mcejz))/mileg.aspx?page=getObject&objectName=mcl-Article-V-14), ასევე იხ.

მისურის შტატის კონსტიტუცია, მუხ. 4(7), ხელმისაწვდომია:

<http://www.moga.mo.gov/MoStatutes/ConstHTML/A040071.html>

⁴⁸ იხ. მინესოტას კონსტიტუცია, მუხ 5(7), ხელმისაწვდომია: https://www.revisor.mn.gov/constitution/#article_5

⁴⁹ იხ. აიდაჰოს კონსტიტუცია, მუხ. 4(7), ხელმისაწვდომია:

<http://legislature.idaho.gov/idstat/IC/ArtIVSect7.htm>

კაროლინას კანონმდებლობის მიხედვით, შტატის გუბერნატორი ნიშნავს შეწყალების კომისის 7 წევრს, რომელიც განიხილავს შეწყალებასთან დაკავშირებულ საკითხებს⁵⁰. იუტას შტატში, გუბერნატორი შტატის სენატის თანხმობის ნიშნავს შეწყალების კომისიის წევრებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მიიღონ შეწყალების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება⁵¹. ჯორჯიის შტატის გუბერნატორი ნიშნავს შეწყალების კომისიის 5 წევრს 7 წლის ვადით, ისევე როგორც კონექტიკუტის გუბერნატორი უფლებამოსილია, დანიშნოს კომისიის წევრები.

12. შეწყალების უფლებამოსილების შედარებითი ანალიზი და საერთაშორისო პრაქტიკა

12.1 ავსტრია

ავსტრიის კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 (c) ქვეპუნქტის თანახმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეიწყალოს პირი ყოველგვარი დამატებითი სააპელაციო რესურსების გამოყენების გარეშე, შეამსუბუქოს ან შეცვალოს მას სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის ზომა, გააუქმოს სასჯელი და მოუხსნას ნასამართლობა და მისი თანმდევი შედეგები, შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ექვემდებარება გამოძიებას⁵².

აღსანიშნავია, რომ ავსტრიის პრეზიდენტი მისთვის კონსტიტუციით მინიჭებულ შეწყალების უფლებამოსილებას, იყენებს მხოლოდ იუსტიციის მინისტრის მიმართვის და მის მიერ შესაბამისი რეკომენდაციის შემთხვევაში⁵³. აშშ-ის მოდელისგან განსხვავებით, ავსტრიის შემთხვევაში, შეწყალების შესახებ გადაწყვეტილებას, ფაქტობრივად, იღებს იუსტიციის მინისტრი, ხოლო პრეზიდენტი ფორმალურად აფორმებს მას. მსგავსი მოდელის არსებობა განპირობებულია თავად პრეზიდენტის სტატუსით და მისი კონსტიტუციური უფლებამოსილებებით.

პრეზიდენტის მიერ ინდივიდუალური შეწყალების პარალელურად, ავსტრიაში ტრადიციულად აქტიურად გამოიყენება ამნისტია (ე.წ. შობის ამნისტია, Weihnachtsamnestie), როდესაც ყოველ წელს, შობის დღესასწაულზე ხდება ასობით მსჯავრდებულის შეწყალება⁵⁴. აღნიშნული უფლებამოსილებაც ხორციელდება იუსტიციის მინისტრის მიერ.

12.2. ბულგარეთი

ბულგარეთის კონსტიტუციის 98-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, პრეზიდენტს აქვს შეწყალების უფლებამოსილება⁵⁵. ბულგარეთის პრეზიდენტმა აღნიშნული

⁵⁰ იხ. S.C. CODE ANN, ხელმისაწვდომია:

<http://www.scstatehouse.gov/code/title24.php>

⁵¹ იხ. იუტას კონსტიტუცია, მუხ.7(12), ხელმისაწვდომია:

<http://le.utah.gov/UtahCode/section.jsp?code=Article%20VII>

⁵² იხ. ავსტრიის კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია:

https://www.constituteproject.org/constitution/Austria_2009.pdf

⁵³ https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/365085/New_Global_Prisoners_Pack_AUSTR.pdf

⁵⁴ იქვე

⁵⁵ იხ. ბულგარეთის კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია:

<http://www.parliament.bg/en/const>

უფლებამოსილების დელეგირება მოახდინა ვიცე-პრეზიდენტზე⁵⁶. ამასთან, პრეზიდენტის 2012 წლის 23 თებერვლის N80 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა შეწყალების კომისია, რომელიც ყოველ კონკრეტულ საქმეზე ამზადებს მოსაზრებას და წარუდგენს რეკომენდაციას პრეზიდენტს, ან ვიცე-პრეზიდენტს, თუ ეს უკანასკნელი პრეზიდენტის დავალებით ასრულებს შესაბამის ფუნქციებს. კომისიის მუშაობაში, შესაძლებელია, ჩაერთონ არამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ მათ ხმის უფლება არა აქვთ⁵⁷.

აღნიშნული ბრძანება განსაზღვრავს კომისიის ფუნქციებს, მის შემადგენლობას, შეწყალების შესახებ განაცხადის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს. მოცემული ბრძანების I მუხლის I პუნქტის თანახმად, კომისია არის პრეზიდენტის სათათბირო-საექსპერტო ორგანო, რომელიც ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის წინაშე (თუ ეს უკანასკნელი ასრულებს შეწყალებასთან დაკავშირებულ საპრეზიდენტო ფუნქციებს). კომისია საქმიანობისას ხელმძღვანელობს ბულგარეთის კანონმდებლობით და პროფესიული მოსაზრებებით, აგრეთვე, მხედველობაში იღებს პრეზიდენტთან არსებული შეწყალების საკითხებზე მომუშავე იურიდიული საბჭოს მოსაზრებებს და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებს და შესაბამის პრაქტიკას, რაც ბულგარეთისთვის შესასრულებლად სავალდებულოა⁵⁸.

კომისიის ფუნქციებია⁵⁹:

- ❖ დაეხმაროს პრეზიდენტს, განახორციელოს შეწყალების საკითხებთან დაკავშირებული კონსტიტუციური უფლებამოსილება ფუნქციები; მოამზადოს და პრეზიდენტს ან ვიცე-პრეზიდენტს წარუდგინოს დასაბუთებული გადაწყვეტილება შეწყალების შესახებ შემოსულ თითოეულ განაცხადთან დაკავშირებით;
- ❖ ხელი შეუწყოს შეწყალებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ კონცეპტუალური პოლიტიკის შემუშავებას და დანერგვას; შეაგროვოს და გააანალიზოს ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლოების თუ სხვა ორგანოების რელევანტური პრაქტიკა, სამეცნიერო გამოცემები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
- ❖ ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვას შეწყალების პოლიტიკის განხორციელებისას; დაამუშავოს, გააანალიზოს და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს კომისიის მუშაობის შედეგები; მონაწილეობა მიიღოს და პროფესიული რეკომენდაციები მიაწოდოს პრეზიდენტთან არსებულ შეწყალების საკითხებზე მომუშავე იურიდიულ საბჭოს;
- ❖ თავისი ფუნქციების განსახორციელებლად, კომისიამ უნდა მიიღოს კომისიის მუშაობის წარმართვასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი რეგულაცია; უზრუნველყოს სამართლიანი და თანასწორი წესების შემუშავება, თითოეული განსახილველი საქმის სპეციფიკის, საჯარო ინტერესებისა და განმცხადებლის უფლებების და ინტერესების გათვალისწინებით;
- ❖ დაადგინოს განცხადების განხილვის ვადები, პროცედურები, საქმის შესწავლის და განცხადების დასაშვებობის წინაპირობები.

⁵⁶ <http://www.president.bg/cat21/87/pardons-committee.html&lang=en>

⁵⁷ იქვე

⁵⁸ იხ. <http://www.president.bg/cat21/87/pardons-committee.html&lang=bg>

⁵⁹ იქვე

კომისია შედგება თავმჯდომარისა და წევრებისგან. კომისიის სტრუქტურა მტკიცდება პრეზიდენტის განკარგულებით. კომისიის ერთი წევრი არის მუდმივი წევრი, რომელიც იცვლება 12 თვეში ერთხელ. მუდმივი წევრი აირჩევა პრეზიდენტთან არსებული შეწყალების საკითხებზე მომუშავე იურიდიული საბჭოს წევრთაგან, რომლებიც არიან სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, აღსრულების სამართლის, ევროპული სამართლის ან ადამიანის უფლებათა სამართლის სპეციალისტები. კომისიის თავმჯდომარე და მუდმივი წევრები ინიშნებიან პრეზიდენტის განკარგულებით. **კომისიის წევრების შრომა ანაზღაურდება პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბიუჯეტიდან, ხოლო კომისიის თავმჯდომარე თანამდებობრივ სარგოს იღებს შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.** კომისიის მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლები⁶⁰.

კომისია თავის ფუნქციებს ახორციელებს პლენარული სესიების მეშვეობით. კომისია უნდა შეიკრიბოს თვეში ორჯერ მაინც. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება შემადგენლობის 4/5 მაინც. კომისია გადაწყვეტილებას იღებს უბრალო უმრავლესობით მას შემდეგ, რაც მოისმენს თითოეული დამსწრე წევრის მოსაზრებას. იმ შემთხვევაში, თუ ხმები იყოფა, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. კომისიამ თითოეულ საქმესთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნა უნდა მოამზადოს საქმის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში. აღნიშნული ვადის გაგრძელება, დასაშვებია, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, პრეზიდენტის წინასწარი თანხმობით⁶¹.

12.3. ირლანდია

ირლანდიის კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შეწყალების, ისევე როგორც სასჯელის გადავადების ან შეჩერების და კონკრეტული სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის უფლებამოსილება ენიჭება პრეზიდენტს. სასჯელის გადავადების ან შეჩერების და კონკრეტული სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის უფლებამოსილება, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, შესაძლებელია, გადაეცეს სხვა უფლებამოსილ პირს⁶².

შეწყალების გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული პროცედურები განსაზღვრულია ირლანდიის სისხლის სამართლის პროცესის შესახებ აქტით⁶³. ხსენებული აქტის მე-7 ნაწილის მიხედვით, თუ პირი მსჯავრდებულია და გასაჩივრების პროცედურების მიუხედავად, დარჩა მსჯავრდებულად და აცხადებს, რომ საქმეზე ახლად აღმოჩენილი გარემოების მიხედვით, განაჩენის გამოტანისას დაშვებულია შეცდომა, უფლებამოსილია, შეწყალების თაობაზე განცხადებით მიმართოს იუსტიციის მინისტრს⁶⁴.

იუსტიციის მინისტრი მიიღებს და განიხილავს ასეთ განაცხადს და თუ ჩათვლის, რომ განაცხადში მითითებული გარემოებები შეიძლება გამოსწორდეს შესაბამისი სასამართლო პროცედურებით (გასაჩივრებით ან სასამართლოსადმი ახალი სარჩელით მიმართვით) ან მოცემულ საქმეში არ იკვეთება მართლმსაჯულების ორგანოების მხრიდან შეცდომის

⁶⁰ იქვე

⁶¹ იქვე

⁶² იხ. ირლანდიის კონსტიტუცია. ხელმისაწვდომია:

http://www.taoiseach.gov.ie/eng/Historical_Information/The_Constitution/

⁶³ იხ. <http://www.irishstatutebook.ie/eli/1993/act/40/enacted/en/html>

⁶⁴ იქვე

დაშვების ფაქტი, იგი ამის შესახებ ატყობინებს განმცხადებელს და წყვეტს ყოველგვარ პროცედურას⁶⁵.

სხვა ყველა შემთხვევაში, იუსტიციის მინისტრი მიმართავს მთავრობას რეკომენდაციით, რათა მთავრობამ მიმართოს პრეზიდენტს შეწყალების მოთხოვნით. თავის მხრივ, იმის გადასაწყვეტად თუ რამდენად არსებობს კონსტიტუციით გათვალისწინებული შეწყალების საფუძვლები, მთავრობა ქმნის სპეციალურ კომიტეტს, რათა გამოიკვლიოს განცხადებაში მითითებული ფაქტები და ამგვარი საფუძვლების არსებობისას, მიმართოს პრეზიდენტს შეწყალების მოთხოვნით.

კომიტეტი ფუნქციონირებს როგორც ტრიბუნალი და იგი კომპლექტდება მოქმედი და ან ყოფილი მოსამართლით (მოსამართლეებით, იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტის წევრთა რაოდენობა ერთზე მეტია). კომიტეტს შეუძლია, განიხილოს ყველა მტკიცებულება, რომელიც კანონმდებლობით დასაშვებია ორდინალური სამართალწარმოების განხორციელების დროს. კომიტეტის მიერ დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში, აღნიშნული დასკვნა ეგზავნება ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც იღებს შეწყალების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას⁶⁶.

12.4. პოლონეთი

პოლონეთის კონსტიტუციის 139-ე მუხლის მიხედვით, პრეზიდენტს აქვს შეწყალების უფლებამოსილება. აღნიშნული უფლებამოსილება არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც გასამართლებული არიან სახელმწიფო ტრიბუნალის მიერ. ამავე კონსტიტუციის 198-ე მუხლის თანახმად, კონსტიტუციის დარღვევის ან/და სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე შესაძლებელია, წარსდგინდეს: პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და მთავრობის წევრები, პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, პოლონეთის კონტროლის პალატის თავმჯდომარე, რადიო და ტელემაუწყებლობის ეროვნული საბჭოს წევრები და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი.

პოლონეთის პრეზიდენტი შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების იღებს ერთპიროვნულად. სხვა კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებისგან განსხვავებით, პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას.

პოლონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე თავი განსაზღვრავს შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს⁶⁷. შეწყალების შესახებ განცხადება, შესაძლებელია, შეიტანოს მსჯავრდებულმა, მისმა პირდაპირი ხაზის ნათესავმა, მშვილებელმა ან შვილობილმა, ძმამ, დამ, მეუღლემ ან იმ პირმა, ვისთან ერთადაც ცხოვრობდა მსჯავრდებული⁶⁸.

შეწყალების შესახებ განცხადება შეაქვთ იმ სასამართლოში, რომელმაც მსჯავრდებულს გამოუტანა გამამტყუნებელი განაჩენი. სასამართლომ განცხადება უნდა განიხილოს მისი შეტანიდან 2 თვის ვადაში. სასამართლოს კოლეგია უნდა შედგებოდეს იმავე

⁶⁵ იქვე

⁶⁶ იქვე

⁶⁷ იხ. პოლონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ხელმისაწვდომია:

http://www.legislationline.org/download/action/download/id/4172/file/Polish%20CPC%201997_am%202003_en.pdf

⁶⁸ იხ. უნგრეთის კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია:

https://www.constituteproject.org/constitution/Hungary_2011.pdf

მოსამართლეებისგან (თუ ეს შესაძლებელია), ვინც მონაწილეობა მიიღო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაში.

იმ შემთხვევაში, თუ განაჩენი მიღებული იყო ერთი მოსამართლის მიერ, შეწყალების შესახებ განცხადება სასამართლომ უნდა განიხილოს კოლეგიურად. შეწყალების შესახებ განცხადების განხილვისას, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ გარემოებებს:

- ❖ *მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში;*
- ❖ *მსჯავრდებულის მიერ მოხდილი სასჯელის ხანგრძლივობა;*
- ❖ *მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისი ოჯახური მდგომარეობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ;*
- ❖ *მსჯავრდებულის მიერ მიყენებული ზიანის გამოსწორების ხარისხი;*
- ❖ *ნებისმიერი სპეციალურ გარემოება, რომელიც წარმოიშვა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ.*

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება შეწყალების თაობაზე, მთავარი პროკურორი ამ გადაწყვეტილებას წარუდგენს პრეზიდენტს. იმ შემთხვევაში, თუ პირმა შეწყალების განცხადებით მიმართა პირდაპირ პრეზიდენტს, მისი განცხადება უნდა გადაეზავნოს მთავარ პროკურორს, რის შემდეგაც განიხილება ზემოაღნიშნული პროცედურების შესაბამისად. შეწყალების შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, პირს შეუძლია ხელახალი განცხადებით მიმართოს სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანიდან არაუდრეს 6 თვისა.

ზემოაღნიშნული პროცედურების გავლის შემდეგ, პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილების შეწყალების ან შეწყალებაზე უარის თქმის შესახებ.

12.5. რუმინეთი

რუმინეთის კონსტიტუციის 94-ე მუხლის (d) ქვეპუნქტის მიხედვით, პრეზიდენტს აქვს შეწყალების უფლება. ამავე კონსტიტუციის მე-100 მუხლის თანახმად კი, პრეზიდენტის მიერ გამოცემული განკარგულებები, მათ შორის, შეწყალების შესახებ გამოცემული განკარგულება, საჭიროებს კონტრასიგნაციას. აღსანიშნავია, რომ რუმინეთის პრეზიდენტს, პოლონეთის პრეზიდენტის მსგავსად, აქვს მხოლოდ მსჯავრდებულის შეწყალების უფლება.

პოლონეთის მგავსად, რუმინეთის პრეზიდენტისთვის შეწყალების შესახებ განცხადების წარდგენა ხდება სასამართლოების მეშვეობით. პირის შეწყალების შემდეგ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 459-ე მუხლის საფუძველზე, მისი გათავისუფლების გადაწყვეტილებას იღებს ის სასამართლო, რომელმაც გამამტყუნებელი განაჩენი მიიღო⁶⁹.

12.6. უნგრეთი

უნგრეთის კონსტიტუციის მე-9 მუხლის თანახმად, პრეზიდენტს აქვს პირის შეწყალების უფლება⁷⁰. შეწყალების უფლებამოსილება შეუძლია, გამოიყენოს იმ შემთხვევაში, თუ პირს

⁶⁹ იხ. რუმინეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ხელმისაწვდომია:

http://www.vertic.org/media/National%20Legislation/Romania/RO_Criminal_Procedure_Code.pdf

⁷⁰ იხ. უნგრეთის კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია:

https://www.constituteproject.org/constitution/Hungary_2011.pdf

შეფარდებული აქვს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, ხოლო არასრულწლოვანთა შემთხვევაში, ასევე, პირობითი მსჯავრი⁷¹.

შეწყალებასთან დაკავშირებით საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას, პრეზიდენტი არ არის შეზღუდული დამატებითი პირობებით. თუმცა, შეწყალების შესახებ განცხადებას პრეზიდენტი განიხილავს მხოლოდ იუსტიციის მინისტრის ან მთავარი პროკურორის რეკომენდაციის საფუძველზე. პრეზიდენტს არა აქვს ვალდებულება, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება (როგორც შეწყალების მოთხოვნის დაკმაყოფილების, ასევე მასზე უარის თქმის შემთხვევაში). პრეზიდენტის გადაწყვეტილება ძალაში შედის იუსტიციის მინისტრის მიერ მისი კონტრასიგნაციის შემდეგ⁷².

გარდა ამისა, პრეზიდენტი არ არის უფლებამოსილი, პირს მოუხსნას ნასამართლობა და მისი თანმდევი შეზღუდვები. შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული პროცედურები განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო აქტის შესაბამისად. კერძოდ, შეწყალების შესახებ განცხადება შედის სასამართლოში ან შესაბამის საგამომიებო ორგანოში თუ პირისთვის ბრალი არ წარუდგენიათ. იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა, შეწყალების შესახებ განცხადება შედის პირველი ინსტანციის სასამართლოში⁷³.

შეწყალების შესახებ განცხადების შეტანის უფლება აქვს პირს, რომელიც ითხოვს შეწყალებას ან მის ოფიციალურ წარმომადგენელს. შესაბამის განცხადებას და თანდართულ დოკუმენტაციას საგამომიებო ორგანო (იმ შემთხვევაში, თუ ბრალი არ არის წარდგენილი) უგზავნის მთავარ პროკურორს. ხოლო ბრალის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნულ დოკუმენტაციას უგზავნის იუსტიციის მინისტრს. იუსტიციის მინისტრი, უფლებამოსილია, შეწყალების რეკომენდაციით მიმართოს პრეზიდენტს. იუსტიციის მინისტრი ან მთავარი პროკურორი შესაბამის რეკომენდაციას შეიმუშავებენ მხოლოდ განცხადებაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. იმავე პრინციპით იღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტიც. შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, განმცხადებელს ან მის ადვოკატს არა აქვთ საშუალება, არგუმენტაცია ზეპირი ფორმით წარმოადგინონ⁷⁴.

იმ შემთხვევაში, თუ პირს უარი ეთქვა შეწყალებაზე, ეს გადაწყვეტილება არ საჩივრდება. თუმცა, იმავე პირს შეუძლია, ხელახლა მიმართოს შესაბამის ორგანოებს შეწყალების მოთხოვნით და პრეზიდენტი აღნიშნულ მოთხოვნას განიხილავს იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორი შედეგი დადგა წინა განხილვის დროს.

12.7. ხორვატია

ხორვატიის კონსტიტუციის 98-ე მუხლის მიხედვით, პრეზიდენტს მინიჭებული აქვს შეწყალების უფლებამოსილება⁷⁵. შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული პროცედურები განისაზღვრება შეწყალების შესახებ აქტით⁷⁶. ხსენებული აქტის პირველი მუხლის მიხედვით, ხორვატიის პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეიწყალოს

⁷¹ http://www.keh.hu/presidential_pardons/1585-Presidential_pardons&pnr=1

⁷² იქვე

⁷³ იქვე

⁷⁴ იქვე

⁷⁵ იხ. ხორვატიის კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია:

<http://www.sabor.hr/fgs.axd?id=17074>

⁷⁶ იხ. შეწყალების შესახებ აქტი, ხელმისაწვდომია:

<http://pak.hr/cke/propisi,%20zakoni/en/PardonAct/EN.pdf>

მსჯავრდებული, რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით შეეფარდა სისხლისსამართლებრივი სასჯელი.

შეწყალების შესახებ განცხადება, შესაძლებელია, შეტანილ იქნას თავად მსჯავრდებულის ან იმ პირის მიერ, ვისაც მსჯავრდებულის სახელით შეუძლია სასამართლოში საჩივრის შეტანა⁷⁷. განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მსჯავრდებულს შეუძლია, განმეორებით შეიტანოს განცხადება თუ წინა განცხადების შეტანიდან გასულია 1 წელი (იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა 3 ან მეტი წლით) ან 6 თვე (იმ შემთხვევაში, თუ მას შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა 3 წელზე ნაკლები ვადით). უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, განმეორებითი განცხადების შეტანა, დასაშვებია, ბოლო განცხადების შეტანიდან 10 წლის შემდეგ⁷⁸.

მსჯავრდებულმა შეწყალების შესახებ განაცხადით უნდა მიმართოს იუსტიციის მინისტრს. მინისტრი განცხადებას არ განიხილავს თუ:

- ❖ დადგინდა, რომ არ არსებობს განცხადებაში მითითებული გარემოებები, რაც შეწყალების საფუძველი უნდა გამხდარიყო;
- ❖ განმცხადებელმა გაიხმო განცხადება;
- ❖ განმცხადებელი გარდაიცვალა;
- ❖ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ექსტრაორდინალურ სამართლებრივ საშუალებას.

ზემოხსენებული გარემოებების არარსებობის პირობებში, იუსტიციის მინისტრი განიხილავს განცხადებას და აღნიშნულის თაობაზე ატყობინებს შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებას, პირველი ინსტანციის სასამართლოს და მის თავმჯდომარეს და მათგან გამოითხოვს საქმისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაციას. ჩამოთვლილი ორგანოები ვალდებული არიან, იუსტიციის მინისტრს მიაწოდონ მოთხოვნილი ინფორმაცია. გარდა ამისა, იუსტიციის მინისტრს შეუძლია, გამოითხოვოს საქმისთვის რელევანტური ინფორმაცია სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ინსტიტუციებიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან და სხვა სამსახურებიდან⁷⁹.

აღნიშნული ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, იუსტიციის მინისტრი ამზადებს სპეციალურ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს პრეზიდენტს ყველა იმ დოკუმენტთან ერთად, რაც რელევანტურია მოცემული საქმისთვის და მასზე გადაწყვეტილების მისაღებად⁸⁰.

აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ, პრეზიდენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რაც მსჯავრდებულს ეცნობება იუსტიციის მინისტრის მეშვეობით. იუსტიციის მინისტრი, ასევე, ვალდებულია, პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესახებ შეატყობინოს შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებას, პირველი ინსტანციის სასამართლოს და მის თავმჯდომარეს. შეწყალების შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება ხორვატიის რესპუბლიკის ოფიციალურ გამოცემაში⁸¹.

⁷⁷ იქვე, მუხ.4

⁷⁸ იქვე, მუხ.5

⁷⁹ იქვე, მუხ. 9

⁸⁰ იქვე, მუხ.11

⁸¹ იქვე, მუხ.12

12.8. ჩეხეთი

ჩეხეთის კონსტიტუციის 62-ე მუხლის მიხედვით, პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეიწყლოს პირი, შეუმსუბუქოს მას სასჯელი, არ დაუშვას მის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების დაწყება ან შეწყვიტოს დაწყებული წარმოება ან მოუხსნას პირს ნასამართლობა⁸².

მიუხედავად იმისა, რომ ჩეხეთის პრეზიდენტს მინიჭებული აქვს შეწყალების აბსოლუტური პრეროგატივა, მოქმედმა პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა აღნიშნული უფლებამოსილება გადასცა იუსტიციის მინისტრს. კერძოდ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პრეზიდენტი თავად წყვეტს რომელ საქმეზე მიიღოს გადაწყვეტილება თვითონ და რომელ საქმეზე - იუსტიციის მინისტრმა⁸³.

წინა პრეზიდენტის, ვაცლავ კლაუსის (2003-2013) შემთხვევაში, დაახლოებით 5000 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 412, მაგრამ რამდენიმე საკმაოდ დიდი კრიტიკა გამოიწვია და პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების საფუძველიც გახდა. 2015 წელს იუსტიციის სამინისტროში დარეგისტრირდა 400-მდე განცხადება, მაგრამ პრეზიდენტს არც ერთი პირი არ შეუწყალებია. ამასთან, პრეზიდენტის განცხადებით, იგი მხოლოდ ჰუმანიტარული მიზნებით განახორციელებს თავის უფლებამოსილებას (კერძოდ, პირის ჯანმრთელობის უკიდურესად გაუარესების შემთხვევაში)⁸⁴.

ამგვარად, თავისი სუბიექტური შეხედულებების გათვალისწინებით, ჩეხეთის პრეზიდენტი უარს ამბობს კანონმდებლობით მინიჭებული შეწყალების აბსოლუტური და ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელებაზე.

13. შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ქართული მოდელის მიხედვით და მასთან დაკავშირებული ხარვეზები

13.1 საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის სამართლებრივი ბუნება

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის #120 ბრძანებულების მე-5 მუხლით, შეწყალების აქტი საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გამოიცემა.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულთა შეწყალების თაობაზე განკარგულების გამოცემა საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის I ნაწილის „პ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებას წარმოადგენს.

მსჯავრდებულთა შეწყალებისას პრეზიდენტი არ ეწევა ადმინისტრაციულ საქმიანობას, რის გამოც მისი განკარგულება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, არ ექცევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის რეგულირების სფეროში და შესაბამისად, არ საჩივრდება სასამართლოში. შეწყალების განხორციელებისას პრეზიდენტი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. მსჯავრდებულთა შეწყალება საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ კომპეტენციაა და ამ ტიპის აქტის მიღება არის პრეზიდენტის ექსკლუზიური პრეროგატივა, ფართო დისკრეციით.

⁸² იხ. ჩეხეთის კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია:

<http://www.psp.cz/cgi-bin/eng/docs/laws/1993/1.html>

⁸³ <http://www.praguepost.com/czech-news/49487-president-zeman-grants-no-pardons>

⁸⁴ იქვე

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის #120 ბრძანებულების თანახმად, პრეზიდენტი გამოსცემს მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ განკარგულებას. ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, შეწყალებაზე უარის შესახებ პრეზიდენტი არანაირ სამართლებრივ აქტს არ გამოსცემს. შეწყალების კომისიის სხდომის ჩატარებიდან 30 დღეში საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების თაობაზე განკარგულების გამოუცემლობა ჩაითვლება შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმად.

შეწყალების აქტის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, პრეზიდენტი იწყალებს მსჯავრდებულებს, შეწყალების კონსტიტუციური უფლებამოსილება აქცენტს აკეთებს მსჯავრდებულთა შეწყალებაზე და არა მათთვის უარის თქმაზე. თუმცა, იმ მსჯავრდებულთათვის, რომელთაც მიმართული აქვთ პრეზიდენტისათვის და ვერ ხვდებიან შეწყალებულთა სიებში, მათთვის აღნიშნული ქმედება პრაქტიკულად უარს ნიშნავს.

13.2. შეწყალების საკითხთა კომისიის სამართლებრივი ბუნება და მისი ფორმირების წესი

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის #120 ბრძანებულებით, „*შეწყალების თხოვნის განხილვისა და მსჯავრდებულის შეწყალების, ასევე, სასჯელმოხდელი პირისთვის ნასამართლობის მოხსნის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტისათვის რეკომენდაციის წარდგენის მიზნით იქმნება შეწყალების საკითხთა კომისია*“.

შეწყალების კომისია პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა. იგი პრეზიდენტს შეწყალების კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაში, შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება.

შეწყალების კომისია პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის #120 ბრძანებულებაში გაწერილი კრიტერიუმების საფუძველზე, კონკრეტული საქმეების შესწავლის შედეგად, იღებს გადაწყვეტილებას შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე რეკომენდაციის გაწევის ან შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე რეკომენდაციის გაწევაზე უარის თქმის შესახებ.

შეწყალების კომისია, როგორც სათათბირო ორგანო, იღებს სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებას. კომისიის რეკომენდაციას შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე განიხილავს საქართველოს პრეზიდენტი და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

საქართველოს პრეზიდენტის #120 ბრძანებულების თანახმად, პრეზიდენტს შეუძლია მსჯავრდებულთა შეწყალება შეწყალების კომისიის გვერდის ავლით, შეწყალების კრიტერიუმების დაუცველად.

შეწყალების ექსკლუზიური კონსტიტუციური კომპეტენციიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია მსჯავრდებულთა შეწყალება შეწყალების კომისიის მექანიზმის არარსებობის შემთხვევაშიც.

არც საკანონმდებლო და არც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დონეზე რეგლამენტირებული არ არის შეწყალების საკითხთა კომისიის შემადგენლობის ფორმირების წესი და პროცედურა, წევრთა შერჩევის კრიტერიუმები, წევრთა რაოდენობა, რაც მოქმედი რეგულირების გარკვეულ ხარვეზს წარმოადგენს. სასურველია, ნორმატიულად დარეგულირდეს, შეწყალების კომისიის წევრთა რაოდენობისა და კომისიის წევრთა განათლების ცენზის საკითხი.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 ნოემბრის #928 ბრძანებულებით განსაზღვრულია მხოლოდ შეწყალების კომისიის წევრთა სახელობითი ჩამონათვალი

(ჩამოთვლილია შეწყალების კომისიის 9 წევრის სახელი და გვარი) და მათი პროფესია/თანამდებობა. ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის #120 ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სახალხო დამცველი და სხვა წევრები.

კვლევის პროცესში, შეწყალების კომისიის ფორმირების წესთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის მიერ გამოიკითხა შეწყალების კომისიის 5 წევრი⁸⁵, აკადემიური წრეების⁸⁶, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები⁸⁷ და პრაქტიკოსი ადვოკატები⁸⁸. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ორგვარი მოსაზრება:

გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სასურველია, ნორმატიულ დონეზე გაიწეროს შეწყალების საკითხთა კომისიის ფორმირების წესი და პროცედურა, წევრთა შერჩევის კრიტერიუმები, რომელიც უფრო განჭვრეტადს გახდის შეწყალების მექანიზმის ფუნქციონირებას საქართველოში. გამოკითხულთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ შეწყალების კომისიის წევრთა ფორმირების წესის ნორმატიული რეგლამენტაცია არ არის მიზანშეწონილი, რადგან კომისია პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა, რომელსაც პრეზიდენტი აკომპლექტებს მისი შეხედულებიდან და წევრთა სანდოობიდან გამომდინარე, რასაც წინასწარ გაწერა არ სჭირდება.

შეწყალების კომისიის მნიშვნელოვანი სტატუსიდან და წევრთა მანდატიდან გამომდინარე, სასურველია, ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს შეწყალების კომისიის ფორმირების წესი, პროცედურა და წევრთა შერჩევის კრიტერიუმები, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას საქართველოში მოქმედ შეწყალების მექანიზმთან დაკავშირებით.

შეწყალების მექანიზმის კვლევის ფარგლებში, ასევე, დაისვა საკითხი თუ ვინ შეიძლება იყოს შეწყალების კომისიის წევრი, რა პროფესიის ადამიანები უნდა იყვნენ ისინი და უნდა წარმოდგენდნენ თუ არა იურისტები წევრთა უმრავლესობას.

დღეს მოქმედი შეწყალების კომისიის წევრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები არიან. შეწყალების კომისიის წევრებს შორის არიან მწერლები, ჟურნალისტები, იურისტები, უფლებადამცველები, მუსიკოსები, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი და სახალხო დამცველი.

კვლევის პროცესში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოიკითხა შეწყალების კომისიის 5 წევრი, აკადემიური წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები და პრაქტიკოსი ადვოკატები. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ორგვარი მოსაზრება: გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ ვინაიდან შეწყალება არის ჰუმანური აქტი, კომისიის წევრები უმჯობესია, იყვნენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები და არა მხოლოდ იურისტები, რომლებიც პროფესიიდან გამომდინარე, შეეცდებიან, საკითხები სამართლებრივ ჭრილში გაიაზრონ. გამოკითხულთა მცირე ნაწილი თვლის, რომ შეწყალების კომისია, ძირითადად, იურისტებითა და პენიტენციური დაწესებულების კარგი მცოდნე პირებით უნდა დაკომპლექტდეს, რომლებიც მათი პროფესიიდან გამომდინარე, უკეთესად შეაფასებენ, უნდა მოხდეს თუ არა კონკრეტული მსჯავრდებულის შეწყალება.

⁸⁵ ზვიად ქორიძე, ლია მუხამაზერია, ეკა გიგაური, უჩა ნანუაშვილი, გივი შაჰნაზარი.

⁸⁶ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორები.

⁸⁷ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, კონსტიტუციის 42-ე მუხლისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატები, რომელთაც აქტიური შეხება აქვთ შეწყალების მექანიზმთან. არასამთავრობო ორგანიზაციები გამოკითხვისთვის აღნიშნული კრიტერიუმებით შეირჩნენ.

⁸⁸ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატები, რომელთაც აქტიური შეხება აქვთ შეწყალების მექანიზმთან.

შეწყალების კომისიის წევრთა ნაწილი, ასევე, მიიჩნევს, რომ სასურველია, შეწყალების კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ექიმი, პედაგოგი და ფსიქოლოგი, რომელთაც პროფესიული უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე, შესწევთ უნარი, სხვადასხვა ასპექტიდან გაიაზრონ ადამიანის პიროვნება. როგორც კომისიის წევრთა ნაწილი განმარტავს, მაგალითად, როდესაც მსჯავრდებული არის მძიმე ავადმყოფი და ამ გარემოებით ითხოვს შეწყალებას, კომისიის წევრებს ესაჭიროებათ ექიმის აზრი, რამდენად მძიმედ არის დაავადებული კონკრეტული პირი და არის თუ არა მისი დაავადება შეუთავსებელი სასჯელის მოხდასთან. პედაგოგის, ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის ჩართულობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შეწყალებისას.

შეწყალების კომისიის შემადგენლობაში სხვადასხვა პროფესიის ადამიანების არსებობა გამომდინარეობს შეწყალების, როგორც ჰუმანური აქტის არსიდან და დადებითად უნდა შეფასდეს. ამასთანავე, სასურველია, შეწყალების კომისიის შემადგენლობის დაკომპლექტებისას, შეწყალების კომისიის წევრებად იყვნენ: ექიმი, პედაგოგი და ფსიქოლოგი.

13.3. შეწყალების კომისიის წევრთა ინტერესთა კონფლიქტი

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის #120 ბრძანებულებამ დაარეგულირა შეწყალების კომისიის წევრთა ინტერესთა კონფლიქტის საკითხი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. პრეზიდენტის #120 ბრძანებულების მე-4 მუხლის თანახმად, შეწყალების თხოვნის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს, კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტი არსებობს, თუ:

- კომისიის წევრი იურიდიულ დახმარებას ან საადვოკატო მომსახურებას უწევდა ან ამჟამად უწევს იმ მსჯავრდებულს ან სასჯელმოხდილ პირს, რომელმაც შეწყალების თხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს;
- მსჯავრდებული ან სასჯელმოხდილი პირი, რომელმაც შეწყალების თხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, კომისიის წევრის ნათესავია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად⁸⁹;
- კომისიის წევრი ფინანსურად დაკავშირებული იყო ან დაკავშირებულია იმ იურიდიული პირის საქმიანობასთან, რომელიც საადვოკატო მომსახურებას, იურიდიულ ან სხვა სახის დახმარებას უწევდა ან უწევს იმ მსჯავრდებულს ან სასჯელმოხდილ პირს, რომელმაც შეწყალების თხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და ამის შესახებ ცნობილია კომისიის წევრისათვის.

ინტერესთა კონფლიქტი წარმოადგენს რეალურ ან შესაძლო წინააღმდეგობას პიროვნების კერძო ინტერესსა და მის საჯარო ან/და კორპორატიულ ვალდებულებას შორის⁹⁰. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ინტერესთა კონფლიქტის ვიწრო განმარტებას იძლევა და აქცენტს აკეთებს უშუალოდ კომისიის წევრის შესაძლო შემხებლობაზე მსჯავრდებულთან ან სასჯელმოხდილ პირთან.

⁸⁹ სსსკ-ის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნათესავებად ითვლებიან: მეუღლე, დანიშნული, პირდაპირი ხაზის ნათესავები, და-ძმა, დისშვილები და ძმისშვილები, მშობლების და-ძმები, დანათესავებულები (მოყვრები), პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი.

⁹⁰ ძირითად იურიდიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისის სააპელაციო სასამართლო, http://oldtbpappeal.court.ge/upload/sr_187.pdf

შეწყალების კომისიის წევრი, რომელსაც აქვს ინტერსთა კონფლიქტი, არ უნდა ესწრებოდეს კონკრეტული მსჯავრდებულის საქმის განხილვის პროცესს და არ უნდა მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში.

13.4. შეწყალება სტანდარტული და განსაკუთრებული გარემოებების საფუძველზე

შეწყალების სტანდარტული კრიტერიუმები გაწერილია პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის #120 ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში. სტანდარტული კრიტერიუმების თანახმად, შეწყალება არ გამოიყენება იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებსაც სასჯელის გარკვეული ვადა არა აქვთ მოხდილი; ვინც სასჯელის მოხდის ადგილიდან ხასიათდება უარყოფითად; მსჯავრდებულის საქმის განხილვა არ არის დასრულებული სამივე ინსტანციის სასამართლოში, ანდა არ არის გასული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა; მსჯავრდებული არ ითხოვს შეწყალებას.

საქართველოს პრეზიდენტის #120 ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სტანდარტული კრიტერიუმების დაუცველად შეწყალების კომისია განიხილავს მსჯავრდებულის საქმეს, თუ არსებობს განსაკუთრებული გარემოება. თუმცა, ბრძანებულება არ განმარტავს „განსაკუთრებული გარემოებას“, რაც გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს მსჯავრდებულებსა და ადვოკატებში. საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებული ნებისმიერი რეგულაცია უნდა იყოს განჭვრეტადი. მსჯავრდებულთათვის უცნობია, რა განეკუთვნება განსაკუთრებულ გარემოებებს, რითაც შეწყალების კომისია ხელმძღვანელობს.

მსჯავრდებულებისთვის განსაკუთრებული გარემოების ბუნდოვანებისა და არაგანჭვრეტადობის თაობაზე, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის მიერ შეწყალების მექანიზმის კვლევის ფარგლებში განხორციელებული გამოკითხვისას საუბრობენ არასამთავრობო სექტორში მომუშავე იურისტები და კერძო ადვოკატები, რომელთაც მსჯავრდებულებთან ხშირი სამსახურეობრივი შეხება აქვთ. მსჯავრდებულები ადვოკატებს ეკითხებიან, თუ რას გულისხმობს განსაკუთრებული გარემოება და რას თვლის შეწყალების კომისია განსაკუთრებულ გარემოებად, რის საფუძველზეც მათ შეეძლება კომისიისათვის მიმართვა.

ადვოკატთა განმარტებით, სწორედ აღნიშნული ბუნდოვანება იწვევს მსჯავრდებულთა უკმაყოფილებას. მსჯავრდებულები გამოხატავენ უკმაყოფილებას და ვერ იგებენ, თუ რის საფუძველზე განიხილა კომისიამ ერთი მსჯავრდებულის საქმე „განსაკუთრებული გარემოების“ საფუძველზე, ხოლო მეორესი - არა.

შეწყალების კომისიის გამოკითხულ წევრთა უმრავლესობის აზრით, შეწყალების კომისია, მისი მანდატიდან გამომდინარე, ვერ განახორციელებს სასამართლო განაჩენის რევიზიას, მისი უკანონობის დადგენას, მაგრამ განსაკუთრებული გარემოების სახით, შესაძლოა, მხედველობაში მიიღოს ამკარად უკანონო განაჩენზე კომპეტენტური ორგანიზაციების დასკვნები.

გამოკითხულ წევრთა განმარტებით, მართალია, მართლმსაჯულების ხარვეზები საქართველოში წლების განმავლობაში სისტემურ პრობლემას წარმოადგენდა და ამ ტენდენციამ ბევრი მსჯავრდებული დააზარალა⁹¹, კომისიის წევრები განაჩენებს არსებითად

⁹¹. 2012 წლიდან პენიტენციურ დაწესებულებებში ბევრ მსჯავრდებულს ჰქონდა მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის იმედი.

მაინც ვერ განიხილავენ, მათი უკანონობის დადგენის მიზნით. ეს სცილდება შეწყალების არსსა და კომისიის მანდატს.

ამასთან, შეწყალების კომისიაში მსჯავრდებულთა მიმართვიანობის გაზრდა დიდწილად განაპირობა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების არაეფექტურმა მუშაობამ.

შეწყალების მექანიზმის კვლევის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის მიერ გამოიკითხა შეწყალების კომისიის ხუთი წევრი. ერთ-ერთი შეკითხვა შეეხებოდა პრეზიდენტის #120 ბრძანებულებით გათვალისწინებული განსაკუთრებული გარემოების პრაქტიკაში გამოყენების წესს, ასევე საკითხს, თუ რას მიიჩნევს შეწყალების კომისია განსაკუთრებულ გარემოებად და უნდა გაიწეროს თუ არა იგი ან ნორმატიულად ან კომისიის შიდა ინსტრუქციით.

შეწყალების კომისიის ხუთივე წევრმა განაცხადა, რომ ძირითადად, ისინი განსაკუთრებულ გარემოებად მიიჩნევენ შემდეგ გარემოებებს, რომელიც არ არის ამომწურავი:

- ❖ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, რაც დასტურდება სამედიცინო დასკვნებით;
- ❖ მსჯავრდებულის მძიმე ოჯახური მდგომარეობა, ოჯახის წევრის მძიმე ავადმყოფობა ან გარდაცვალება;
- ❖ მსჯავრდებულის წამების მსხვერპლის სტატუსი, მისი ცნობა დაზარალებულად;
- ❖ მსჯავრდებულის სასჯელის სრულად მოხდამდე დარჩენილი მცირე პერიოდი (რამდენიმე თვე);
- ❖ თუ სახალხო დამცველის ან საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშში საუბარია მსჯავრდებულის განაჩენის აშკარა უკანონობასთან დაკავშირებით ან მსჯავრდებულის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით;
- ❖ მსჯავრდებულს ჰყავს არასრულწლოვანი შვილები, რომელთა ერთადერთ მარჩენალსაც წარმოადგენს მსჯავრდებული;
- ❖ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში, განათლების მიღების ინტერესი;
- ❖ აშკარად უკანონო განაჩენები, რომელთა დაკავშირებითაც არსებობს კომპეტენტური არასამთავრობო ორგანიზაციათა დასკვნები და გარკვეული კითხვები საზოგადოებაში.

შეწყალების კომისიის გამოკითხულ წევრთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ განსაკუთრებული გარემოებების გაწერა შეუძლებელია, რადგან ყოველთვის შეიძლება წარმოიშვას სხვა ისეთი გარემოება, რომელიც შეწყალების კომისიამ ასევე შეიძლება ჩათვალოს განსაკუთრებულად და ამ კუთხით, კომისიის შეზღუდვა დაუშვებელია. კომისიის წევრთა მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია, განსაკუთრებული გარემოებების არაამომწურავი ჩამონათვალი განისაზღვროს ნორმატიულად, საქართველოს პრეზიდენტის აქტით ან არანორმატიული ფორმით - შეწყალების კომისიის შიდა ინსტრუქციით.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ არასამთავრობო ორგანიზაციათა იურისტების ნაწილი და კერძო ადვოკატები მიიჩნევენ, რომ შეწყალების წესის არც ერთი დებულება არ უნდა იყოს ბუნდოვანი, იგი განჭვრეტადი უნდა იყოს მსჯავრდებულებისთვის, რომლებიც მათთან საუბარში უკმაყოფილობას გამოთქვამენ. ადვოკატთა აზრით, მსჯავრდებულები უნდა იყვნენ მეტად ინფორმირებულნი შეწყალების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. შესაძლებელია, შეწყალების კომისიამ არანორმატიული ფორმით, შიდა ინსტრუქციის სახით განსაზღვროს განსაკუთრებული გარემოებების არაამომწურავი ჩამონათვალი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტის განმარტებით⁹², 2013 წლის 18 ნოემბრიდან 2015 წლის 9 ივლისამდე პერიოდში, შეწყალების საკითხთა კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე, განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა 19 მსჯავრდებული პირი.

მსჯავრდებულებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია შეწყალების არსთან, წესთან და კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რათა მათ არ გაუჩნდეთ ცრუ მოლოდინები, არაობიექტურობისა და ბუნდოვანების განცდა შეწყალების მექანიზმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

შეწყალების კომისიამ უნდა შეიმუშაოს შეწყალების წესით განსაზღვრულ განსაკუთრებულ გარემოებათა არაამომწურავი ჩამონათვალი, რათა მსჯავრდებულებმა იცოდნენ, ძირითადად, რას მიიჩნევს კომისია განსაკუთრებულ გარემოებად და რა შემთხვევებში შეეძლება მათ კომისიისთვის მიმართვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს მსჯავრდებულთა ინფორმირებულობის დონის ამაღლებას შეწყალების კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტმა სისტემატიურად განახორციელოს შეწყალების განსაკუთრებული გარემოებების პრაქტიკის ანალიზი, რაც გასათვალისწინებელი ინფორმაცია იქნება შეწყალების კომისიის წევრებისათვის.

13.5 აღიარება - შეწყალების ერთ-ერთი კრიტერიუმი

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის #120 ბრძანებულების მე-9 მუხლის I ნაწილის თანახმად, „შეწყალების თხოვნის განხილვისას, მხედველობაში მიიღება, აღიარებს თუ არა და ინანიებს თუ არა მსჯავრდებული ჩადენილ დანაშაულს“. მიუხედავად იმისა, რომ აღიარება შეწყალების სავალდებულო კრიტერიუმს აღარ წარმოადგენს, პრაქტიკაში, მას მაინც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შეწყალების კომისიის მიერ მსჯავრდებულთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას.

აღნიშნული ბრძანებულების მიღებამდე არსებული წესის თანახმად, თუ პატიმარი ბრალს არ აღიარებდა, შეწყალების კომისია მის საქმეს არ განიხილავდა.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის #120 ბრძანებულებით, აღიარება აღარ არის შეწყალების სავალდებულო წინაპირობა და არ უნდა ახდენდეს ზეგავლენას პირის შეწყალებაზე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა და პრაქტიკოს ადვოკატთა განმარტებით⁹³, მათ პრაქტიკაში ჰქონიათ შემთხვევები, როცა აღიარება გახდა პირის შეწყალების გადაწყვეტი ფაქტორი.

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის #120 ბრძანებულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული აღიარების კრიტერიუმის ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავი დებულებები შესაძლოა, უფრო პრივილეგიურულ მდგომარეობაში აყენებდეს მათ, ვისაც აღიარება აქვთ. ამასთანავე, მსჯავრდებულებს, რომლებიც არ აღიარებენ დანაშაულს და თავი

⁹² საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტის 2015 წ. 20 აგვისტოს #8398 წერილი ადამიანის უფლებათა ცენტრისადმი.

⁹³ ადამიანის უფლებათა ცენტრი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

მიაჩნიათ უკანონო მსჯავრდების მსხვერპლად, შესაძლებელია, წაერთვათ შესაძლებლობა, იყვნენ შეწყალებულნი.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტის უფროსის წერილობითი განმარტებით⁹⁴, „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული შეწყალების წესის შესაბამისად, მსჯავრდებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარება არ არის შეწყალების საკითხთა კომისიის მიერ საქმის განხილვის სავალდებულო პირობა. აუცილებელია, მხოლოდ შეწყალების თხოვნა და კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

შეწყალების კომისიის გამოკითხულ წევრთა⁹⁵ განმარტებით, აღიარებას კომისიის წევრები არ მიიჩნევენ სავალდებულო კრიტერიუმად, მაგრამ მხედველობაში იღებენ მას.

კვლევის პერიოდში ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიმართა შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვა ინფორმაცია, 2013 წლის 18 ნოემბრიდან 9 ივლისამდე, რამდენი მსჯავრდებული შეიწყალა პრეზიდენტმა აღიარების საფუძველზე და რამდენი - აღიარების გარეშე. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების დეპარტამენტის უფროსის საპასუხო განმარტებიდან ირკვევა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამგვარ სტატისტიკას არ აწარმოებს.

სასურველია, შეწყალების წესის მომწესრიგებელ დებულებაში მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ბუნდოვანი ნორმები, რომლებიც შესაძლოა, მსჯავრდებულთა მიერ არაერთგვაროვნად აღიქმებოდეს. ამასთანავე, სასურველია, აღიარების კრიტერიუმი არ გახდეს პირის შეწყალების გადამწყვეტი ფაქტორი, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო უთანასწორო დამოკიდებულება მსჯავრდებულთა მიმართ.

13.6. დაზარალებულის როლი შეწყალების პროცესში

პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით, შეწყალების თხოვნის განხილვისას, მხედველობაში მიიღება დაზარალებულის მოსაზრება.

როგორც შეწყალების კომისიის წევრებმა⁹⁶ გამოკითხვისას აღნიშნეს, ისეთი ტიპის დანაშაულებში, როგორიცაა: მკვლელობა, გაუპატიურება, ყაჩაღობა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულები⁹⁷, კომისიის წევრები, ძირითადად, ითვალისწინებენ დაზარალებულის პოზიციას. კომისიის წევრთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ყოფილა შემთხვევები, როცა დაზარალებულს მიუმართავს შეწყალების კომისიისათვის კონკრეტული მსჯავრდებულის შეწყალებაზე უარის თხოვნით და კომისიას დაზარალებულის პოზიცია გაუთვალისწინებია. ამასთან, შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ხვდება დაზარალებულებს, მათი სურვილის შემთხვევაში.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა და პრაქტიკოს ადვოკატთა განმარტებით⁹⁸, მათ პრაქტიკაში ჰქონიათ შემთხვევები, როცა შეწყალების კომისიას

⁹⁴ პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 20 აგვისტოს #8398 წერილი ადამიანის უფლებათა ცენტრისადმი.

⁹⁵ გამოკითხა კომისიის ხუთი წევრი

⁹⁶ გამოკითხა კომისიის ხუთი წევრი

⁹⁷ ძირითადად, ძალადობრივი დანაშაულების დროს.

⁹⁸ ადამიანის უფლებათა ცენტრი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ადვოკატთა ასოციაციის წევრი პრაქტიკოსი ადვოკატები

მსჯავრდებულის შეწყალებაზე არ გაუცია დადებითი რეკომენდაცია და პრეზიდენტს უარი უთქვამს პირის შეწყალებაზე დაზარალებულის უარყოფითი პოზიციის გამო.

სასურველია, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე ძალადობრივი დანაშაულების შემთხვევაში, შეწყალების კომისიამ და პრეზიდენტმა მსჯავრდებულის შეწყალების საკითხის გადაწყვეტისას ყურადღება მიაქციოს დაზარალებულის პოზიციას. სხვა ტიპის დანაშაულების შემთხვევაში, შეწყალების კომისიისა და პრეზიდენტის მიერ მხოლოდ დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინებით, შეწყალებაზე უარის თქმა, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს შეწყალების არსს.

13.7 პრეზიდენტის მიერ პირდაპირი წესით შეწყალება

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის N120 ბრძანებულებით, „საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეწყალების თხოვნის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და/ან #120 ბრძანებულებით მოთხოვნების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე“. აღნიშნული დებულება ითვალისწინებს მსჯავრდებულის შეწყალებას პრეზიდენტის მიერ პირდაპირი წესით, შეწყალების კომისიის გვერდის ავლით. აღსანიშნავია, რომ ასეთი პრაქტიკა დამკვიდრდა 2005 წლის 30 მაისს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, როდესაც შეწყალების შესახებ დებულებას დაემატა შემდეგი ნორმა: „საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეწყალების შუამდგომლობის (თხოვნის) განხილვის ნებისმიერ სტადიაზე და/ან ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე“.

ასეთი ფართო დისკრეციით შეწყალების პრაქტიკა აისახა 2014 წლის 27 მარტის N120 ბრძანებულებაშიც, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს, შეწყალების წესებისა და მოთხოვნების დაუცველად, კვლავ შეუძლია, შეიწყლოს ნებისმიერ დანაშაულში მსჯავრდებული პირი, ნებისმიერ დროსა და ნებისმიერი რაოდენობით.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტის ცნობით⁹⁹, 2013 წლის 18 ნოემბრიდან 2015 წლის 9 ივლისამდე, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული დისკრეციის ფარგლებში (პირდაპირი წესით) საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა 103 მსჯავრდებული (აქედან 52 გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან) და სასჯელმოხდილი პირი.

შეწყალების მექანიზმის კვლევის ფარგლებში გამოკითხული შეწყალების კომისიის წევრთა ნაწილი თვლის, რომ პრეზიდენტს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული შეწყალების ექსკლუზიური კომპეტენცია, რაც მას აძლევს უფლებას, კომისიის გვერდის ავლით, კრიტერიუმების დაუცველად შეიწყლოს მსჯავრდებული. კომისიის წევრთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის შეწყალების გადაწყვეტილება უნდა იყოს რაციონალური და განჭვრეტადი საზოგადოებისათვის. ამავე დროს, კომისიის გვერდის ავლით, პირდაპირი წესით მსჯავრდებულთა შეწყალება, შესაძლოა, გარკვეულ საფრთხეს შეიცავდეს პრეზიდენტის ამ უფლების არამიზნობრივად გამოყენების კუთხით.

მიუხედავად იმისა, რომ შეწყალება პრეზიდენტის ექსკლუზიური კომპეტენციაა, აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესაბამის საკანონმდებლო რეგლამენტაციას, რაც განჭვრეტადი იქნება შესაწყალებელი პირისა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის. სამწუხაროდ, უახლოეს წარსულში იყო შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტებმა ისარგებლეს

⁹⁹ იხ: 2015 წლის 20 აგვისტოს #8398 წერილი.

აღნიშნული კომპეტენციით მათი პოლიტიკური პარტიის ან/და ოჯახის წევრების სასარგებლოდ ბუნდოვანი საფუძვლებით¹⁰⁰, რამაც საზოგადოებაში გარკვეული ეჭვები წარმოშვა პრეზიდენტის მიერ ამ უფლებამოსილების მიკერძოებულად გამოყენების შესახებ.

პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებამოსილების ასეთი ფართო დისკრეციით გამოყენება სხვა ქვეყნებშიც იწვევს არაჯანსაღ აჟიოტაჟს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამის ერთ-ერთი მაგალითია ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ განხორციელებული შეწყალებები, რამაც საკმაოდ დიდი კრიტიკა გამოიწვია და პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების საფუძველიც კი გახდა. შემდგომმა პრეზიდენტმა კი, თავისი სუბიექტური შეხედულებების გათვალისწინებით, უარი თქვა კანონმდებლობით მინიჭებული შეწყალების აბსოლუტური და ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელებაზე და აღნიშნული უფლებამოსილება გადასცა იუსტიციის მინისტრს. კერძოდ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პრეზიდენტი თავად წყვეტს რომელ საქმეზე მიიღოს გადაწყვეტილება თვითონ და რომელ საქმეზე - იუსტიციის მინისტრმა¹⁰¹.

მხედველობაშია მისაღები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხილული საქმე „ენუქიმე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ 2008 წლის 25 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია ესოდენ შემზარავ დანაშაულში მსჯავრდებული სახელმწიფო მოხელეების შეწყალება და მათთვის სასჯელის დარჩენილი ვადის განახევრება¹⁰²“.

ადამიანის უფლებათა ცენტრი იზიარებს არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოსაზრებას, რომ „პრეზიდენტის მიერ თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების გამოყენება უნდა მოხდეს კონსტიტუციისვე მოთხოვნების დაცვით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ კონსტიტუციის დებულებების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს კონსტიტუციურ პრინციპებთან კავშირში. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით გათვალისწინებულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, გულისხმობს სამართლებრივი განსაზღვრულობის და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა წინასწარი განჭვრეტის შესაძლებლობას¹⁰³.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ავალდებულებს საქართველოს პრეზიდენტს, თავისი დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს არა თვითნებურად, პირადი სურვილების გათვალისწინებით, არამედ წინასწარ ჩამოყალიბებული, ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი და ნათლად განჭვრეტადი კრიტერიუმების საფუძველზე. ნებისმიერ მოქალაქეს უნდა შეეძლოს იმის წინასწარ განსაზღვრა თუ კონკრეტული გარემოებების არსებობის შემთხვევაში რა გადაწყვეტილებას მიიღებს ეს თუ ის სახელმწიფო ორგანო¹⁰⁴.

ადამიანის უფლებათა ცენტრისათვის ცნობილია არაერთი შემთხვევა, როცა მსჯავრდებულები აკმაყოფილებდნენ შეწყალების სტანდარტული წესით განსაზღვრულ

¹⁰⁰ ინფორმაცია: <http://civil.ge/geo/article.php?id=27530%20%20http://www.netgazeti.ge/GE/105/News/16767/>

სხევე: <http://factcheck.ge/article/giorgi-margvelashvili-sakuthari-tsolis-dzmis-shetsqhalebaze-saubrisas-aghnishnavs-rom-igive-braldebaze-shetsqhaleba-shemdegats-ghophila/>

¹⁰¹ იხ.: <http://www.praguepost.com/czech-news/49487-president-zeman-grants-no-pardons>

¹⁰² იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება:

<http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fmimdinare%20agsrulebebi%2Fenuqidze%20girgvliani.pdf>

¹⁰³ იხ.: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება: <https://gyla.ge/geo/news?info=1670&print=1>

¹⁰⁴ იხ.: იქვე.

კრიტერიუმებს და მათი შეწყალება მაინც არ ხდებოდა. კომისიის გვერდის ავლით, კრიტერიუმების დაუცველად, პირდაპირი წესით შეწყალებისას პრეზიდენტმა, შესაძლოა, შეიწყალოს ისეთი პირი, რომელსაც მოხდელი არა აქვს შეწყალების სტანდარტული წესით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური რაოდენობა, არ არსებობს განსაკუთრებული გარემოება და მსჯავრდებული არც შეწყალებას ითხოვს. მსგავსი აქტები საზოგადოებასა და მსჯავრდებულებში იწვევს უსამართლობისა და უთანასწორობის განცდას, რამაც შესაძლოა, საპატიმროებში მღელვარებაც კი გამოიწვიოს¹⁰⁵.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ „საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების პრივილეგია დაუშვებელია, იყოს შეუზღუდავი და არ იყოს მოქცეული კონსტიტუციისა და სამართლებრივი რაციონალიზმის ერთგვარ ფარგლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, ჰუმანურობის პრინციპზე დაფუძნებული შეწყალების ინსტიტუტი, თვითონ გადაიქცეს დისკრიმინაციის, ანტიჰუმანურობისა და უსამართლობათა ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად¹⁰⁶“.

სახალხო დამცველი თვლის, რომ „*აუცილებელია, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რომელიც სამართლებრივ რაციონალიზმზე დაფუძნებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ფარგლებში მოაქცევს საქართველოს პრეზიდენტის ამ პრივილეგიას*¹⁰⁷“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, თუკი საქართველოს პრეზიდენტი შეწყალების კომისიის გვერდის ავლით, კრიტერიუმების დაუცველად მიღებულ შეწყალების ყოველ კონკრეტულ აქტში წერილობით მოკლედ დაასაბუთებს მსჯავრდებულის პირდაპირი წესით შეწყალების გამომწვევ მიზეზსა და განსაკუთრებულ გარემოებას.

13.8. შეწყალების საკითხთა კომისიისა და პრეზიდენტის ურთიერთობა შეწყალებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, მსჯავრდებულთა საქმეების განხილვის შედეგად, შეწყალების კომისია იღებს გადაწყვეტილებას შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე რეკომენდაციის გაწევისა ან შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე რეკომენდაციის გაწევაზე უარის თქმის შესახებ. კომისიის რეკომენდაციას შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე განიხილავს საქართველოს პრეზიდენტი და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით¹⁰⁸, „*2013 წლის 18 ნოემბრიდან 2015 წლის 3 სექტემბრის ჩათვლით, შეწყალების საკითხთა კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გასცა 1700 მსჯავრდებულისა და სასჯელმოხდელი პირის შეწყალების თაობაზე. მათგან 284 მსჯავრდებული პირი საქართველოს პრეზიდენტმა არ შეიწყალა. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა შეწყალების საკითხთა კომისიის სხდომაზე განხილვის შედეგად კომისია საქართველოს პრეზიდენტს არ მიმართავს რეკომენდაციით პირის შეწყალების თაობაზე, ასეთ საქმეზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილება მიიღება საკუთარი დისკრეციის ფარგლებში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით*“.

¹⁰⁵ აღნიშნულ პრობლემაზე ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის მიერ ჩატარებული გამოკითხვისას საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაციათა და ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატები.

¹⁰⁶ შეფასება: <http://www.ombudsman.ge/ge/news/1933-gancxadeba-prezidentis-mier-2013-wlis-30-oqtombers-ganxorcielebul-shewvalebis-aqtan-dakavshirebit.page>

¹⁰⁷ იქვე.

¹⁰⁸ პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2015 წლის 17 სექტემბრის #9323 წერილი ადამიანის უფლებათა ცენტრისადმი.

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მიღებული საჯარო ინფორმაციით ირკვევა, არის შემთხვევები, როცა შეწყალების საკითხთა კომისია მსჯავრდებულის შეწყალებასთან დაკავშირებით გასცემს დადებით რეკომენდაციას, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტი უარს აცხადებს შეწყალებაზე. რიგ შემთხვევებში კი, კომისია იღებს უარყოფით გადაწყვეტილებას მსჯავრდებულთა შეწყალებასთან დაკავშირებით, მაგრამ პრეზიდენტი მაინც იწყებს მსჯავრდებულს.

კვლევის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა გამოიკვლია, ასაბუთებს თუ არა პრეზიდენტი შეწყალების კომისიის წინაშე კომისიისგან მის მიერ მიღებულ განსხვავებულ გადაწყვეტილებას. შეწყალების კომისიის წევრთა ინფორმაციით, თუ კონკრეტულ საქმეზე პრეზიდენტს აქვს კომისიისგან განსხვავებული გადაწყვეტილება, პრეზიდენტი თავის არგუმენტაციას სიტყვიერად აცნობს შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციას აწვდის კომისიის წევრებს. პრეზიდენტის მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების კომისიისათვის წერილობითი დასაბუთება არ ხდება.

ვინაიდან პრეზიდენტის მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ ხშირია, სასურველია, პრეზიდენტსა და მის სათათბირო ორგანოს შორის არსებობდეს სისტემატიური პირდაპირი კომუნიკაცია. კერძოდ, ამ მხრივ, საუკეთესო გამოსავალია, ყოველი შეწყალების აქტის გამოცემის შემდეგ პრეზიდენტი შეხვდეს თავის სათათბირო ორგანოს - შეწყალების საკითხთა კომისიას და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს, თუ რატომ მიიღო ესა თუ ის განსხვავებული გადაწყვეტილება.

13.9. სახალხო დამცველის მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება შეწყალების საკითხთან დაკავშირებით

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით, სახალხო დამცველი უფლებამოსილია, წერილობით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს¹⁰⁹, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, თუ მიიჩნევს, რომ სახალხო დამცველის განკარგულებაში არსებული რეაგირების საშუალებები არასაკმარისია. აღნიშნული უფლებამოსილების არსი სახალხო დამცველის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარეობს.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი. იგი უფლებამოსილია, გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს.

საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებში¹¹⁰ ხშირად არის წარმოდგენილი სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის შესწავლის შესახებ ინფორმაცია. რიგ შემთხვევებში, სახალხო დამცველის ოფისი ახდენს მნიშვნელოვანი საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევების იდენტიფიცირებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც სახალხო დამცველი მოკლებულია სამართლებრივი რეაგირების შესაძლებლობას კონკრეტული პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ან

¹⁰⁹ კონკრეტული მსჯავრდებულის საქმეზე, თუ სახალხო დამცველის ხელთ არსებული სამართლებრივი ბერკეტები ამოწურულია, იგი უფლებამოსილია, პრეზიდენტს მიმართოს მსჯავრდებულის შეწყალების შუამდგომლობით.

¹¹⁰ ანგარიშები: <http://ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf>; <http://ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf>

სხვა სამართლებრივი მოქმედებების გატარების შესახებ¹¹¹. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ადამიანის უფლებების დაცვის პრიმატიდან და სახალხო დამცველის კონსტიტუციური სტატუსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იყოს პრეზიდენტისათვის მიმართვა კონკრეტული მსჯავრდებულის შეწყალების თაობაზე.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახალხო დამცველისა და პრეზიდენტის ერთობლივი საქმიანობის შედეგად, შესაძლებელი გახდება მართლმსაჯულების ხარვეზების აღმოფხვრა. ასეთი მიდგომა შეესაბამება ჰამილტონის მიერ #74 ფედერალისტში¹¹² წარმოდგენილ განმარტებას შეწყალების შესახებ, რომელიც ამ ინსტიტუტს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ინდივიდუალური ფაქტორების გათვალისწინების შესაძლებლობად განიხილავს.

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის¹¹³ თანახმად „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება¹¹⁴ სახალხო დამცველმა 2013 წლიდან 2016 წლამდე მხოლოდ ორჯერ გამოიყენა. ერთ შემთხვევაში, სახალხო დამცველს მიმართვაზე პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან პასუხი არ მიუღია, ხოლო მეორე შემთხვევაში მიმართვა პრეზიდენტმა არ გაიზიარა.

2014 წლის 15 მაისის #04-12/7279 შეწყალების თაობაზე პრეზიდენტისადმი მიმართვა შეეხებოდა სამართლებრივი რეაგირების შეუძლებლობას, გამომძიებლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან მიღებული წერილის¹¹⁵ თანახმად, სახალხო დამცველს უარი ეთქვა მსჯავრდებულის შეწყალების თაობაზე მიმართვის დაკმაყოფილებაზე. უარის მიზეზად პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ „პრეზიდენტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არა აქვს უფლება, შეცვალოს საგამომძიებო ორგანოებისა თუ სასამართლოს მიერ მიღებული ესა თუ ის გადაწყვეტილება“. განცხადებაში განმარტებულია, რომ პრეზიდენტს მხოლოდ მსჯავრდებულის შეწყალების უფლებამოსილება გააჩნია¹¹⁶.

2014 წლის 31 მარტის #04-12/5810 შეწყალების თაობაზე პრეზიდენტისადმი მიმართვა ეხებოდა იმ ფაქტს, რომ სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისას დაირღვა კანონის უკუძალისა და ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპები. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ უფლებების აღდგენის მიზნით, მიზანშეწონილი იყო განხორციელებულიყო სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისაგან გათავისუფლება. სახალხო დამცველს მიმართვაზე პასუხი არ მიუღია.

შეწყალების კომისიის გამოკითხული წევრების განმარტებით, სახალხო დამცველის აპარატი დეტალურად სწავლობს მსჯავრდებულთა უფლებების დარღვევის ფაქტებს და ფლობს დეტალურ ინფორმაციას მათი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. ამიტომ,

¹¹¹ მაგალითად, შესაძლებელია ეს იყოს სახალხო დამცველის მიერ სამართლებრივი რეაგირების განხორციელების შეუძლებლობა გამომძიებლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ასევე, თუკი, მაგალითად, მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის გამოტანისას დაირღვა კანონის უკუძალისა და ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპები. ამიტომ, სახალხო დამცველმა შესაძლოა, მიმართოს პრეზიდენტს სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლების თხოვნით.

¹¹² ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://avalon.law.yale.edu/18th_century/fed74.asp

¹¹³: საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 18 სექტემბრის #05-4/7627 წერილი.

¹¹⁴ შეწყალების თაობაზე პრეზიდენტისათვის მიმართვა;

¹¹⁵ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2014 წლის 18 სექტემბრის #3785 წერილი.

¹¹⁶ იქვე.

სასურველია, სახალხო დამცველის აპარატის მიერ პრეზიდენტისათვის მსჯავრდებულის შეწყალების თხოვნით მიმართვისას, შეწყალების კომისიამ და შემდგომში, თვითონ პრეზიდენტმაც საფუძვლიანად გააანალიზონ ომბუდსმენის მიმართვაში აღნიშნული საკითხები.

სახალხო დამცველის მიერ „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, სახალხო დამცველის თანამშრომლობა პრეზიდენტთან ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვას და შეწყალების მექანიზმის ეფექტურ ფუნქციონირებას. თუკი პრეზიდენტი არ შეიწყალებს მსჯავრდებულს, რომლის შეწყალების თაობაზე მას სახალხო დამცველმა მიმართა, სასურველია, პრეზიდენტმა სახალხო დამცველს წერილობით განუმარტოს უარის მიზეზი.

13.10. შეწყალების კომისიის წევრთა ურთიერთობა მსჯავრდებულებთან

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ შეწყალების კომისიის წევრთა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ისინი არ ხვდებიან შეწყალების მსურველ მსჯავრდებულებს და არა აქვთ კომუნიკაცია იმ პირებთან, რომლებიც მსჯავრდებულებს შეწყალების რეკომენდაციას აძლევენ.

შეწყალების კომისიის წევრები შემოიფარგლებიან მხოლოდ მსჯავრდებულთან დაკავშირებული წერილობითი დოკუმენტაციის შესწავლით, ისინი უშუალოდ არ ესაუბრებიან მსჯავრდებულებს და მათ რეკომენდატორებს, რაც შეწყალების კომისიის წევრებს უფრო ნათელ წარმოდგენას შეუქმნიდა მსჯავრდებულზე. მსჯავრდებულებს, გამონაკლის შემთხვევებში, მხოლოდ შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ხვდება.

როგორც გამოკითხვისას არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა და კერძო პრაქტიკის მქონე ადვოკატებმა განმარტეს, შეწყალების კომისიის წევრებს სასურველია, გარკვეული პერიოდულობით კომუნიკაცია ჰქონდეთ მსჯავრდებულებთან, რათა მათ გააცნონ შეწყალების არსი და მნიშვნელობა. ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, სასურველია, კომისიის წევრები შეხვდნენ მსჯავრდებულებს მათ საქმეებთან დაკავშირებით, მსჯავრდებულის პიროვნებისა და საქმის გარემოებების უკეთესად გაცნობის მიზნით. აღნიშნული პრაქტიკა კომისიის წევრებს დაეხმარება განსაკუთრებით სენსიტიურ საქმეებთან დაკავშირებით მიიღონ ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება.

13.11. საქართველოს საპატრიარქოს ურთიერთობა შეწყალების კომისიასთან და პრეზიდენტთან

საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ 2013 წლის 26 ნოემბრის #928 ბრძანებულების თანახმად, შეწყალების კომისიის ერთ-ერთი წევრი არის მართლმადიდებელი სასულიერო პირი - ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი, რომელიც არის საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი შეწყალების კომისიაში. არც ერთი სხვა კონფესიის წარმომადგენელი არ არის კომისიის წევრი, რაც არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს სხვა კონფესიის წარმომადგენლებს.

გარდა ამისა, თავად საპატრიარქოში ფუნქციონირებს მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხთა შემსწავლელი კომისია, რომელიც სასულიერო პირებით არის დაკომპლექტებული.

კვლევის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი ესაუბრა საპატრიარქოს მსჯავრდებულთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენელს, რომელმაც განაცხადა, რომ საპატრიარქოს კომისიას აქვს მსჯავრდებულის შეწყალების საქმის მიღების კრიტერიუმები.

საპატრიარქოს მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხთა შემსწავლელი კომისია არ განიხილავს მსჯავრდებულის შეწყალების საქმეს, თუ მას არ ერთვის პატიმრის მოძღვრის რეკომენდაცია/შუამდგომლობა. მოძღვრის შუამდგომლობაში ძირითადად მსჯავრდებულის სინანულსა და ქრისტიანულ ცხოვრებაზეა საუბარი.

საპატრიარქოს წარმომადგენლის განმარტებით, საპატრიარქოს მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხთა შემსწავლელმა კომისიამ შესაძლებელია, სხვა რელიგიის წარმომადგენლების¹¹⁷ საქმეებიც განიხილოს თუ მას ერთვის მათი მოძღვრის რეკომენდაცია. ყოველი შეწყალების წინ საპატრიარქო 200-300 მსჯავრდებულს უწევს რეკომენდაციას პრეზიდენტთან არსებულ შეწყალების კომისიაში, საიდანაც შესაძლოა, დაახლოებით 15-20 მსჯავრდებულის საქმე დაკმაყოფილდეს. საპატრიარქოს შეწყალების კომისია გადაწყვეტილების მიღებისას, ძირითადად, ეყრდნობა მოძღვრის რეკომენდაციას და მსჯავრდებულის დახასიათებებს. საპატრიარქოდან პრეზიდენტის შეწყალების საკითხთა კომისიის სახელზე იგზავნება მსჯავრდებულთა სია, რითაც საპატრიარქო უწევს რეკომენდაციას კონკრეტული მსჯავრდებულებს შესაწყალებლად.

სასულიერო პირები შეწყალების კომისიის მუშაობაში ჩართული უნდა იყვნენ არა როგორც თავიანთი რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, არამედ როგორც ავტორიტეტული საზოგადო მოღვაწეები, ჰუმანისტები. ამავე დროს, სასურველია, შეწყალების კომისიაში მუშაობის საშუალება ჰქონდეთ სხვადასხვა კონფესიის სასულიერო პირებს, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო უთანასწორო დამოკიდებულება სხვადასხვა კონფესიის პატიმართა მიმართ.

13.12. პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტის როლი შეწყალების პროცესში

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 19 დეკემბრის #963 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის თანახმად, დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტის ფუნქცია:

- ❖ შეწყალების თაობაზე შუამდგომლობების განხილვა/დამუშავება, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან მასალების გამოთხოვა და სხვა აუცილებელი მოქმედებების განხორციელება შეწყალების საქმეების მასალების შესაბამისი კომისიის სხდომაზე წარსადგენად;
- ❖ შეწყალების საკითხებზე შესაბამისი კომისიის მიერ შემუშავებული წინადადებების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტისათვის წარსადგენი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

¹¹⁷ მაგალითად: მუსლიმები, კათოლიკეები, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები.

- ❖ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეწყალებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და რეგულირების თაობაზე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდაციების მომზადება;
- ❖ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეწყალების სტატისტიკის წარმოება, მისი ანალიზი, ტენდენციების გამოკვეთა და შესაბამისი წინადადებების შემუშავება;

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის #120 ბრძანებულება განსაზღვრავს, რომ შეწყალების თხოვნას რეგისტრაციაში ატარებს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, რომელიც მას გადასცემს დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტს. დეპარტამენტი უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულებიდან¹¹⁸ და სხვა რელევანტური უწყებებიდან სათანადო დოკუმენტების გამოთხოვას, რის საფუძველზეც ადგენს შესაბამის საინფორმაციო ცნობას და ამზადებს შეწყალების საქმეს კომისიის სხდომაზე განსახილველად. დეპარტამენტი შეწყალების კომისიას წარუდგენს ინფორმაციას იმ მსჯავრდებულთა შესახებ, რომლებიც არ აკმაყოფილებენ შეწყალების კრიტერიუმებს.

შეწყალების მექანიზმის კვლევის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ადამიანის უფლებათა ცენტრს განუმარტეს, რომ ისინი შეწყალების კომისიის წევრთათვის ამზადებენ საინფორმაციო ბარათებს, სადაც აღნიშნულია მსჯავრდებულის პირადი საქმიდან ამონაწერისა და განაჩენის შესახებ მოკლე ინფორმაცია. მსჯავრდებულთა შესახებ სხვა სახის ინფორმაცია საინფორმაციო ბარათებში, როგორც წესი, მითითებული არ არის¹¹⁹.

შეწყალების კომისიის წევრები, ძირითადად, ხელმძღვანელობენ დეპარტამენტის მიერ მიწოდებული საინფორმაციო ბარათებით და გადაწყვეტილების მიღებისას დიდწილად დამოკიდებულნი არიან დეპარტამენტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე. შესაბამისად, სასურველია, საინფორმაციო ბარათები მოიცავდეს არა მარტო სტანდარტულ ინფორმაციას განაჩენისა და მსჯავრდებულის პირადი საქმის შესახებ, არამედ სხვა დოკუმენტების შინაარსსაც¹²⁰, რომელიც მსჯავრდებულს ან სხვა პირს აქვს წარდგენილი შეწყალების თხოვნასთან ერთად. შეწყალების თხოვნასთან ერთად პატიმართა მიერ პრეზიდენტის სახელზე შეტანილი მასალების შეწყალების კომისიისათვის სრულად წარუდგენლობა არსებითად არღვევს მსჯავრდებულთა უფლებებს.

გარდა ამისა, საჭიროა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტმა შეწყალების საკითხებთან დაკავშირებით შექმნას სრულყოფილი ელექტრონული ბაზა, რაზეც შეწყალების კომისიის წევრებს ექნებათ წვდომა და შესაძლებლობა, დეტალურად გაეცნონ კონკრეტული მსჯავრდებულის შეწყალების საქმეს.

შეწყალების კომისიის წევრთა ნაწილის ცნობით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტი კომისიის წევრებს შეწყალების კომისიის სხდომის გამართვის თარიღის შესახებ აცნობებს რამდენიმე დღით ადრე. ყოფილა შემთხვევები, როდესაც შეწყალების კომისიის ზოგიერთი წევრი ვერ

¹¹⁸ დეპარტამენტი პენიტენციური დაწესებულებიდან ითხოვს მსჯავრდებულის პირად საქმეს, დახასიათებას და სხვა დოკუმენტაციას.

¹¹⁹ ადამიანის უფლებათა ცენტრი გაეცნო ერთ-ერთი საინფორმაციო ბარათის შაბლონურ შინაარსს, სადაც მითითებული იყო მხოლოდ ინფორმაცია მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენისა და პირადი საქმის შესახებ.

¹²⁰ მაგალითად, მსჯავრდებულის ან მისი ოჯახის წევრების მიერ წარდგენილი დახასიათებების შინაარსსაც.

დასწრება სხდომებს მოუცლელობის გამო. შეწყალების კომისიის წევრთა ნაწილის განმარტებით, სასურველია, კომისიის წევრებს დეპარტამენტმა გონივრული ვადით ადრე (სულ მცირე, 14 დღით ადრე მაინც) შეატყობინოს შეწყალების კომისიის სხდომის გამართვის თარიღის შესახებ, რათა კომისიის ყველა წევრმა შეძლოს სხდომაზე დასწრება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ შეწყალების კომისიის ყველა წევრს არა აქვს ერთნაირი სამუშაო გრაფიკი. მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველს გადატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, ერთი კვირით ადრე მთლიანად ჰქონდეს სამუშაო განრიგი გაწერილი და ვერ მოახერხოს კომისიის მუშაობაში მონაწილეობა.

შეწყალების საკითხთა კომისიის მუშაობა ზოგჯერ რამდენიმე დღე გრძელდება. კომისიის წევრები დილიდან გვიან ღამემდე სხედან პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობაში და ეცნობიან ასობით მსჯავრდებულის საქმეს. დატვირთული რეჟიმიდან გამომდინარე, შესაძლებელია, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ იზრუნოს შეწყალების საკითხთა კომისიის წევრთა საჭიროებებზე, რაც გაზრდის შეწყალების კომისიის წევრთა მოტივაციას, უფრო აქტიურად და მეტი დატვირთვით ჩაერთონ კომისიის მუშაობაში.

მიუხედავად იმისა, რომ დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სისტემატიურად უნდა აწარმოებდეს და აანალიზებდეს შეწყალების სტატისტიკას, რათა ამ გზით გამოიკვეთოს მნიშვნელოვანი ტენდენციები და შემუშავდეს შესაბამისი წინადადებები, მსგავსი საქმიანობა ან არ ხორციელდება ან საზოგადოება არ არის ინფორმირებული მიღებული შედეგების შესახებ;

ამდენად, მნიშვნელოვანია, დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტმა პერიოდულად გამოაქვეყნოს შეწყალების აქტების ანალიზი და გამოკვეთოს ტენდენციები. ამ გზით, საზოგადოება და მსჯავრდებულები მიიღებდნენ პასუხს სენსიტიურ კითხვებზე, თუ რა გარემოებებს თვლის კომისია განსაკუთრებულად, რა ტიპის დანაშაულებს უფრო ეხება პრეზიდენტის შეწყალება, რა დანაშაულების მიმართ აქვს მკაცრი მიდგომა და ა.შ.

13.13. შეწყალების კომისიის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა

შეწყალების კომისიის წევრთა ნაწილის განმარტებით, შეწყალების კომისიის სხდომას ესწრებიან პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე. არის შემთხვევები, როდესაც მათ აქვთ კომისიის მუშაობაში ჩარევის და თათბირის პროცესში მონაწილეობის მცდელობა. აღნიშნული პრაქტიკა არსებითად არღვევს შეწყალების კომისიის, როგორც სათათბირო ორგანოს, დამოუკიდებლობისა და მის მუშაობაში ჩაურევლობის პრინციპს.

შეწყალების კომისიის წევრთა ნაწილი განმარტავს, რომ არ არსებობს დეპარტამენტის ხელმძღვანელების შეწყალების კომისიის სხდომაზე დასწრების განსაკუთრებული აუცილებლობა. კომისიის წევრთა ნაწილი კი ამბობს, რომ დეპარტამენტის წარმომადგენელთა მიმართ ზოგჯერ აქვთ კონკრეტული შეკითხვები ამა თუ იმ მსჯავრდებულის საქმესთან დაკავშირებით, რის გამოც მათი დასწრება კომისიის სხდომაზე პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარეობს.

შეწყალების კომისიის სხდომას შესაძლებელია, ესწრებოდეს დეპარტამენტის თანამშრომელი, რომელიც შეიმუშავებს კომისიის სხდომის ოქმს. დეპარტამენტის თავმჯდომარისა და მოადგილის შეწყალების კომისიის სხდომაზე დასწრება მიზანშეწონილია მხოლოდ პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, მაგრამ ასეთ დროს აუცილებელია, მათ ჰქონდეთ ნეიტრალური პოზიცია. კომისიის მუშაობაში დეპარტამენტის

ხელმძღვანელების ჩარევის მცდელობა არსებითად ხელყოფს შეწყალების კომისიის დამოუკიდებლობას.

საქართველოს პრეზიდენტმა და შეწყალების კომისიამ უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შეწყდეს დეპარტამენტის უფროსისა და მოადგილის შეწყალების კომისიის მუშაობაში ჩარევის პრაქტიკა.

14. რეკომენდაციები შეწყალების უფლებამოსილების გაუმჯობესების ხელშესაწყობად

საქართველოს პრეზიდენტს:

- ❖ მსჯავრდებულებში შეწყალებასთან დაკავშირებით არსებული ცრუ მოლოდინების თავიდან ასაცილებლად, განხორციელდეს შეწყალების მიზნების ნორმატიული რეგლამენტაცია და სწორი პრაქტიკის დანერგვა;
- ❖ მსჯავრდებულებს მიეწოდოს ინფორმაცია შეწყალების მიზნების, არსის, წესისა და კრიტერიუმების თაობაზე, რათა მათ არ ჰქონდეთ არაობიექტურობისა და ბუნდოვანების განცდა შეწყალების მექანიზმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.
- ❖ შეწყალების კომისიის მნიშვნელოვანი სტატუსიდან და წევრთა მანდატიდან გამომდინარე, სასურველია, ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს შეწყალების კომისიის ფორმირების წესი, პროცედურა და წევრთა შერჩევის კრიტერიუმები, კომისიის წევრთა რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას საქართველოში მოქმედ შეწყალების მექანიზმთან დაკავშირებით;
- ❖ განჭვრეტადად გაიწეროს შეწყალების კომისიის კომპეტენცია და მუშაობის წესი, მისი ანგარიშვალდებულება საზოგადოებისა და შეწყალების მთხოვნელი პირის მიმართ. ამ კუთხით, შესაძლებელია, ბულგარეთის მოდელის გაზიარება კომისიის ფუნქციების რეგლამენტირებასთან დაკავშირებით¹²¹. აღნიშნული მოდელი ნათლად აყალიბებს შეწყალების კომისიის კომპეტენციას და მის სამართლებრივ სტატუსს.
- ❖ შეწყალების კომისიის შემადგენლობის დაკომპლექტებისას, სასურველია, შეწყალების კომისიის წევრებად იყვნენ: ექიმი, პედაგოგი და ფსიქოლოგი.
- ❖ შეწყალების კომისიის გვერდის ავლით, კრიტერიუმების დაუცველად, მსჯავრდებულის პირდაპირი წესით შეწყალების გამომწვევი მიზეზები და განსაკუთრებული გარემოება მოკლედ დაასაბუთოს შეწყალების შესახებ კონკრეტულ გადაწყვეტილებაში.
- ❖ განახორციელოს მის მიერ პირდაპირი წესით მსჯავრდებულთა შეწყალების კომპეტენციის სათანადო სამართლებრივი რეგლამენტაცია, რაც განჭვრეტადი იქნება შესაწყალებელი პირისა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის. ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებაში არსებული ეჭვის გაქარწყლებას პრეზიდენტის მიერ შეწყალების კომპეტენციის მიკერძოებულად გამოყენების შესახებ;
- ❖ ვინაიდან პრეზიდენტის მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ ხშირია, სასურველია, პრეზიდენტსა და მის სათათბირო ორგანოს - შეწყალების

¹²¹ იხ: კვლევაში ინფორმაცია ბულგარეთის მოდელის შესახებ

საკითხთა კომისიას შორის არსებობდეს სისტემატიური პირდაპირი კომუნიკაცია. ამ მხრივ, საუკეთესო გამოსავალია, ყოველი შეწყალების აქტის გამოცემის შემდეგ პრეზიდენტი შეხვდეს შეწყალების საკითხთა კომისიას და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს, თუ რატომ მიიღო ესა თუ ის განსხვავებული გადაწყვეტილება.

- ❖ სასულიერო პირები შეწყალების კომისიის მუშაობაში ჩართული უნდა იყვნენ არა როგორც თავიანთი რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, არამედ როგორც ავტორიტეტული საზოგადო მოღვაწეები, ჰუმანისტები. ამავე დროს, სასურველია, შეწყალების კომისიაში მუშაობის საშუალება ჰქონდეთ სხვადასხვა კონფესიის სასულიერო პირებს, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო უთანასწორო დამოკიდებულება სხვადასხვა კონფესიის პატიმართა მიმართ.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტს:

- ❖ სისტემატიურად განახორციელოს და გამოაქვეყნოს შეწყალების აქტების ანალიზი და გამოკვეთოს ტენდენციები. ამ გზით, საზოგადოება და მსჯავრდებულები მიიღებენ პასუხს სენსიტიურ კითხვებზე, თუ რა გარემოებებს თვლის შეწყალების კომისია განსაკუთრებულად, რა ტიპის დანაშაულებს უფრო ეხება პრეზიდენტის შეწყალება, რა დანაშაულების მიმართ აქვს მკაცრი მიდგომა და ა.შ.
- ❖ სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს შეწყალების კომისიას მსჯავრდებულის ან მისი ოჯახის წევრის მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტის შესახებ.
- ❖ შეწყალების კომისიის წევრებს გონივრული ვადით ადრე (სულ მცირე 14 დღით ადრე მაინც) შეატყობინოს შეწყალების კომისიის სხდომის გამართვის თარიღის შესახებ, რათა კომისიის ყველა წევრმა შეძლოს სხდომაზე დასწრება.
- ❖ შეწყალების საკითხებთან დაკავშირებით შექმნას სრულყოფილი ელექტრონული ბაზა, რაზეც შეწყალების კომისიის წევრებს ექნებათ წვდომა და შესაძლებლობა ამომწურავად გაეცნონ კონკრეტული მსჯავრდებულის შეწყალების საქმეს.

შეწყალების საკითხთა კომისიას:

- ❖ შეიმუშაოს შეწყალების წესით განსაზღვრულ განსაკუთრებულ გარემოებათა არაამომწურავი ჩამონათვალი, რათა მსჯავრდებულებმა იცოდნენ, ძირითადად, რას მიიჩნევს კომისია განსაკუთრებულ გარემოებად და რა შემთხვევებში შეეძლება მათ კომისიისთვის მიმართვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს მსჯავრდებულთა ინფორმირებულობის დონის ამაღლებას შეწყალების კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით.
- ❖ საჭიროების შემთხვევაში, სასურველია, კომისიის წევრები შეხვდნენ მსჯავრდებულებს მათ საქმეებთან დაკავშირებით, მსჯავრდებულის პიროვნებისა და საქმის გარემოებების უკეთესად გაცნობის მიზნით. აღნიშნული პრაქტიკა კომისიის წევრებს დაეხმარება განსაკუთრებით სენსიტიურ საქმეებთან დაკავშირებით მიიღონ ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება.

- ❖ შეწყალების კომისიის წევრი, რომელსაც აქვს ინტერესთა კონფლიქტი, არ უნდა ესწრებოდეს კონკრეტული მსჯავრდებულის საქმის განხილვის პროცესს და არ უნდა მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში.

საქართველოს პრეზიდენტს და შეწყალების კომისიას:

- ❖ შეწყალების წესის მომწესრიგებელ დებულებაში მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ბუნდოვანი ნორმები, რომლებიც შესაძლოა, მსჯავრდებულთა მიერ არაერთგვაროვნად აღიქმებოდეს. ამასთანავე, სასურველია, აღიარების კრიტერიუმი არ გახდეს პირის შეწყალების გადამწყვეტი ფაქტორი, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო უთანასწორო დამოკიდებულება მსჯავრდებულთა მიმართ.
- ❖ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე ძალადობრივი დანაშაულების შემთხვევაში, შეწყალების კომისიამ და პრეზიდენტმა მსჯავრდებულის შეწყალების საკითხის გადაწყვეტისას ყურადღება უნდა მიაქციოს დაზარალებულის პოზიციას. სხვა ტიპის დანაშაულების შემთხვევაში, შეწყალების კომისიისა და პრეზიდენტის მიერ მხოლოდ დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინებით, შეწყალებაზე უარის თქმა, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს შეწყალების არსს.
- ❖ საქართველოს პრეზიდენტისა და შეწყალების კომისიის მიერ დეტალურად გაანალიზდეს სახალხო დამცველის მიმართვა მსჯავრდებულის შეწყალების თაობაზე. „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, სახალხო დამცველის თანამშრომლობა პრეზიდენტთან ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვასა და შეწყალების მექანიზმის ეფექტურ ფუნქციონირებას. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტი არ შეიწყალებს მსჯავრდებულს, რომლის შეწყალების თაობაზე მას სახალხო დამცველმა მიმართა, სასურველია, პრეზიდენტმა სახალხო დამცველს წერილობით განუმარტოს უარის მიზეზი.
- ❖ შეწყალების კომისიის წევრთა დატვირთული სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ იზრუნოს მათ საპრონორარო ანაზღაურებაზე, რაც გაზრდის შეწყალების კომისიის წევრთა მოტივაციას, უფრო აქტიურად და მეტი დატვირთვით ჩაერთონ კომისიის მუშაობაში.
- ❖ მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შეწყდეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტის უფროსისა და მოადგილის შეწყალების კომისიის მუშაობაში ჩარევის პრაქტიკა.

15. დასკვნა

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილ კვლევაში ნათლად გამოიკვეთა შეწყალების, როგორც ჰუმანური აქტის, განხორციელების სხვადასხვაგვარი შესაძლებლობა. ისტორიულად, შეწყალების უფლება წარმოადგენდა აღმასრულებელი ხელისუფლის აბსოლუტურ და ექსკლუზიურ პრეროგატივას, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული მიზნებით და დანიშნულებით გამოიყენებოდა.

მოცემულმა კვლევამ ცხადყო, რომ შეწყალების მექანიზმის თანამედროვე კონცეფცია არ შემოიფარგლება მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლის (იქნება ეს მონარქი, პრეზიდენტი თუ სხვა უფლებამოსილი პირი) მიერ აღნიშნული უფლებამოსილების ექსკლუზიურად განხორციელებით. უცხო ქვეყნის პრაქტიკის მაგალითებით, გამოიკვეთა მოცემული საკითხისადმი საკმაოდ არაერთგვაროვანი მიდგომა. განსხვავებები შეინიშნება სამართლებრივი სისტემების, მმართველობის მოდელების, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის თუ ისტორიული და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით.

დღესდღეობით, შეწყალების მექანიზმი, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვა აქტორებთან კოლაბორაციის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში წარმოდგენილი ქვეყნების უმრავლესობა შეწყალებას აღმასრულებელი ხელისუფალის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას უკავშირებს, რიგი ქვეყნების მაგალითზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ფუნქცია წარმატებით შეიძლება განახორციელოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კოლეგიური ორგანოს მეშვეობით ან სულაც საკანონდებლო ორგანომ.

ასევე, არაერთგვაროვანია მიდგომა თავად შეწყალების შინაარსისა და მისი ფარგლების განსაზღვრის საკითხებთან მიმართებით. რიგი ქვეყნები, უფლებამოსილ პირს ანიჭებენ შეწყალების სრული მოცულობით განხორციელების კომპეტენციას, მაშინ როდესაც, ბევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, შეწყალების შემადგენელი კონკრეტული კომპონენტები ხელისუფლების სხვადასხვა შტოების უფლებამოსილებებშია განფენილი.

საბოლოო ჯამში, ის თუ შეწყალების რა მოდელს აირჩევს კონკრეტული სახელმწიფო, დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე და სწორედ ამიტომაც, შეუძლებელია უნივერსალური მექანიზმის შემუშავება, რომელიც ნებისმიერი სამართლებრივი სისტემისთვის თუ სახელმწიფოსთვის თუ მთლიანად არა, მეტ-ნაკლებად ეფექტური მაინც იქნება.

ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია შეწყალების უფლებამოსილებას ექსკლუზიურად ანიჭებს სახელმწიფოს მეთაურს - პრეზიდენტს, დადებითად უნდა ჩაითვალოს შეწყალების ინსტიტუტის ისეთი მოდელის არსებობა, როდესაც პრეზიდენტი ქმნის სათათბირო ორგანოს - შეწყალების საკითხთა კომისიას, რომელიც მას აწვდის რეკომენდაციას მსჯავრდებულთათვის შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე. აღნიშნული მოდელი საკმაოდ დემოკრატიულია, მაგრამ რიგი საკითხები საჭიროებს გაუმჯობესებას, რათა მსჯავრდებულებს და საზოგადოებას არ დარჩეს ბუნდოვანებისა და არაობიექტურობის განცდა პრეზიდენტის მიერ შეწყალების აქტის გამოცემისას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კვლევის ფინალში მოწოდებული რეკომენდაციები.